CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

## რატომ დასჭირდა „იმედს“ სინამდვილეში რეორგანიზაცია?

N96/3026/ 25 ivnisi 2014w ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია oTxSabaTi ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## გიორგი მარგველაშვილი გადადგომას აპირებს?



## როგორ გეგმავენ ილიაუნში ღარიბაშვილისა და ივანიშვილის მოცილებას მეორე ტურის შემდეგ?



## ვინ გასცა პატრიარქის საიდუმლო მის მემკვიდრეზე?





„ჩემთვის გაუგებარია, როგორ გაიგეს, ვინ ეწერა ანდერძში პატრიარქს ან მერე შეცვალა ანდერძიო, ეს მხოლოდ პატრიარქმა იცის, ანდერძი სეიფში დევს და გასაღებიც მას აქვს, პატრიარქის გარდაცვალების შემთხვევაში იხსნება სეიფი და ხდება საჯარო“

## რას უყვება „ალიას“ ეკა ბესელია სტრასბურგიდან



ადვოკატი

მამუკა ნოზაძე:

**„კორუმპირებულობა იმას არ ნიშნავს, რომ ფული აიღო, უფრო კორუმპირებულია მოსამართლე, რომელიც უკანონო გადაწყვეტილებას იღებს“**



## მადლობა სამართლიანობისთვის ბრძოლაში ერთგულებისთვის!

შემოწირულობა ანგარიშზე შეიტანეს:

1. შპს სტამბა „ტორის“ ხელმძღვანელმა ნუკრი დოლიძემ – 1000 ლარი; 2. ჰომეოპათმა კახა საბახტარიშვილმა – 100 ლარი, 3. ტარიელ თაბაგარი – 3 ლარი, 4. ადვოკატი გურამ გვენცაძე – 100 ლარი, 5. დავით მამუკაშვილი – 1 ლარი, 6. მერაბ ომიაძე – 1 ლარი, 7. „ახალგაზრდა ადვოკატები“ – 100 ლარი, 8. „ტოიოტა-ცენტრის“ ხელმძღვანელი ირაკლი გურჩიანი – 1500 ლარი, 9. ირაკლი ქავთარაძე – 49 ლარი; 10. ოთარ ჯანდიერი – 10 ლარი; 11. ნათელა მაღლაკელიძე – 50 ლარი; 12. ს/ს „გურმანი“ – 50 ლარი; 13. ენრიკო იაკობაშვილი – 1000; 14. ბესიკი ადამია – 5; 15. ანა იმნაიშვილი – 5; 16. ჯიბუტი – 10; 17. დიმიტრი-ელენე-ენვერ ენდელაძე – 3; 18. რიმა გოჩიაშვილი – 50, 19. გელა სულაბერიძე – 2, 20. სერგო მწითურიძე – 100. 21. თამარ მდივნიშვილი – 5. 22. იოსებ ვაშაკიძე – 5, 23. ირინე ტატუნიშვილი – 5, 24. ნუკრი რევიშვილი – 10, 25. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი – 500, 26. მანანა ვახტანგაძე, რევაზ ფახურიძე – 1, 27. ამხანაგობა საადვოკატო ბიურო მიგრიაული და პარტნიორები – 70, 28. ვასილ მეტრეველი – 10, 29. ლაერტი ზუბადალაშვილი – 100, 30. ჯუმბერ ტაგანაშვილი – 10, 31. შპს „ნილი“ – 50; 32. მამუკა კაკუშაძე 20; 33. ჩანჩალაშვილი აბრამი – 300, 34. მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან ტაიმსი“ – 100, 35. ნოდარ ბულაძე – 50, 36. ჯემალ ალანია – 3, 37. დავლოსტი გობეჯიშვილი – 30; 38. ზუბერ ავალიანი – 10; 39. გიზო ფაცია – 1000; 40. ზურაბ გუნია – 100; 41. 42. თამრიკო ფაცია – 100; 43. თეა იაკობიძე – 100; 44. მერაბ სარია – 300; 45. მარინე კანდელაკი – 5; 46. შორენა გოშუა – 5; 47. ხელვაჩაური პურპროდუქტები – 150; 48. ცისანა ქირია – 10; 49. ტარიელ ოთიაშვილი – 10; 50. ელისო შიხიაშვილი – 50; 51. ლევან ბანეთიშვილი – 300; 52. ელეონორა ბექაური –10; 53. დავით ჭაქვაძე – 190; 54. ციალა თოფურია – 100; 55. მარიკა ჯაჯანაშვილი – 2, 56. დიმიტრი ტიკარაძე – 250, 57. შპს „პირველი“ – 250, 58. ამირან იაკობიძე – 100, 59. ომარ გოცაძე – 20, 60. ქეთევან ძოწენიძე – 3.

სპეციალური ანგარიში „თიბისი ბანკში“ GE30TB7568636020100001


ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რატომ დასჭირდა „იმედს“ სინამდვილეში რეორგანიზაცია?

გაზეთი „კვირის ქრონიკა“ ერთი კვირის წინ, სანდო წყაროზე დაყრდნობით, წერდა, რომ ტელეკომპანია „იმედში“ საკადრო ცვლილებები განხორციელდებოდა. კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასწარი შედეგები, ანუ ეგზიტპოლები, „იმედმა“ კომპანია „ეი-სი-თი“-ს დაუკვეთა. ამ ეგზიტპოლების შედეგების მიხედვით, თბილისის მერის არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, დავით ნარმანიამ ხმების 52.2% მიიღო, ხოლო „ნაცმოძრაობის“ კანდიდატმა ნიკა მელიამ“ – 34.7%. „იმედმა“ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და „ოცნების“ პოლიტიკურ ბომონდს ნაადრევად აზეიმა გამარჯვება. ალბათ, ყველამ იხილეთ ტელეეთერით, როგორ ულოცავდნენ დავით ნარმანიას გამარჯვებას თანაგუნდელები და დიდი წარმატების ნიშნად, შამპანურებიც დააბათქუნეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ „იმედის“ ეგზიტპოლის შედეგები რეალობისგან საკმაოდ შორს იდგა. ცესკო-ს საბოლოო მონაცემებით, დავით ნარმანიამ თბილისელ ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 46.13% მიიღო, ხოლო ნიკა მელიამ – 27.41%. დამეთანხმებით, ცდომილება მართლაც დიდია, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია ის, რომ ამ შეცდომის შედეგად, „იმედმა“ ნარმანიას პირველსავე ტურში გაამარჯვებინა, რეალურად კი, არჩევნების პირველ ტურს გამარჯვებული არ გამოუვლენია და მეორე ტური უნდა დაინიშნოს. მოკლედ, „იმედმა“ ბევრი გაუგებრობა შეიტანა საარჩევნო პროცესში. ხალხის დაბნეულობას თავი დავანებოთ, აგერ, პრემიერსა და მთელ „ქართულ ოცნებას“ აზეიმა არარსებული გამარჯვება.

„ქრონიკა“ წერდა, რომ ეგზიტპოლის ამ მცდარი შედეგების გამოქვეყნების გამო, ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელი, ბადრი პატარკაციშვილის ქვრივი, ინა გუდავაძე ძალზე აღშფოთდა და სამსახურიდან გაშვებას უპირებდა გენერალურ დირექტორს, რეზო საყევარიშვილსა და საინფორმაციო სამსახურის უფროსს, არხის პოლიტიკური მიმართულების გადაცემათა რედაქტორს, ბაია ცანავას. „ქრონიკა“ ასევე წერდა, რომ ცანავა „იმედის“ სამეთვალყურეო საბჭოში გადაჰყავდათ. მაშინ „ქრონიკის“ ამ ინფორმაციას მყისიერედ გამოეხმაურა ბაია ცანავა და განაცხადა, რომ ის თავის პოსტზე რჩებოდა და არც მას და არც რეზო საყევარიშვილს, სამსახურის დაკარგვის საფრთხე არ ემუქრებოდათ. ბაია ცანავამ საერთოდ გამორიცხა შესაძლო ცვლილებები „იმედში“.

ერთი კვირა გავიდა ამ ამბებიდან და „ქრონიკის“ ინფორმაცია დადასტურდა. ბაია ცანავა ინა გუდავაძესთან და არხის სხვა დამფუძნებლებთან ლონდონში იმყოფებოდა და იქ გადაწყდა, რომ ის საინფორმაციო სამსახურის უფროსის პოსტს დატოვებდა. ამის შესახებ „იმედის“ პროდიუსერმა, ჯონი კალანდაძემ განაცხადა. მისივე თქმით, ბაია ცანავა 23 ივლისს დაემშვიდობა თავის ყოფილ თანამშრომლებს. როგორც „ქრონიკა“ აცხადებდა, ცანავას განთავისუფლების მიზეზი სწორედ არჩევნების ეგზიტპოლის მცდარი შედეგები გახდა. დადასტურდა „ქრონიკის“ კიდევ ერთი ინფორმაცია – ბაია ცანავა საინფორმაციო სამსახურს კი ჩამოაცილეს, მაგრამ „იმედის“ სამეთვალყურეო საბჭოში განაგრძობს საქმიანობას. „იმედის“ დამფუძნებლები და მენეჯმენტი ერთად აცხადებენ, რომ „ტელეკომპანია ეგზიტპოლების შემსრულებელ კომპანიასთან არკვევს ეგზიტპოლისა და არჩენების წინასწარ შედეგებს შორის არსებული ცდომილების მიზეზებს და მოგვიანებით გააკეთებს შესაბამის განცხადებას. „იმედის“ დამფუძნებლები, ასევე, აცხადებენ, რომ ტელეკომპანიას ბაია ცანავას მეტი აღარავინ დატოვებს და მენეჯმენტში სხვა ცვლილებები აღარ იგეგმება. თუმცა, შესაძლოა, ცვლილებები კვლავ გაგრძელდეს. „იმედიდან“ გამოჟონილი ინფორმაციით, რეზო საყევარიშვილი შეინარჩუნებს გენერალური დირექტორის პოსტს, მაგრამ ცვლილებები განხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატში. კერძოდ, ვინ დატოვებს კიდევ „იმედს“, ეს ამ დღეებში გაირკვევა. „იმედის“ დამფუძნებლების განცხადებით, ტელეკომპანიაში დაგეგმილია რეორგანიზაცია. შესაძლოა, „იმედი“ დაატოვებინონ ჟურნალისტთა და პროდიუსერთა იმ გუნდს, რომელიც ბაია ცანავამ მიიყვანა არხზე და ისინი სხვებით ჩაანაცვლონ.

მკითხველი დასკვნებს თავად გამოიტანს, მაგრამ ერთი არ შემიძლია არ აღვნიშნო. ქართველ ხალხს წლების მანძილზე სხვადასხვა უცხოური კომპანიები ატყუებდნენ ეგზიტპოლის შედეგებით და „ნაცმოძრაობას“ გაყალბებულ არჩევნებს ცესკო-ს წინასწარი შედეგების გამოქვეყნებამდე „უპრავებდნენ“. ეგზიტპოლი განვითარებადი დემოკრატიის ქვეყანაში, ხმების გაყალბების ტექნოლოგიის ერთ-ერთი ბერკეტია და ეს საქართველოში არაერთხელ დადასტურდა. კომპანია „ეი-სი-თი“-მ, ეგზიტპოლის შედეგებში 7-პროცენტიანი ცდომილება დაფიქსირდა. ამხელა სხვაობას „ნაცმოძრაობის“ მეგობარი ლიუს ნავაროც კი არ კადრულობდა, როცა თავისი „ენ-დი-აი“-ს მეშვეობით, არაერთ არჩევნებში ჩაატარა და გამოაქვეყნა წინასწარი შედეგები და ცხადია, მუდამ იმ შედეგებს აფიქსირებდა, რაც „ნაცმოძრაობას“ აწყობდა. „იმედს“ „ეი-სი-თი“-სთან მართლა გასარკვევი აქვს საქმე და კარგი იქნება, თუ საზოგადოებაც შეიტყობს რეალურ მიზეზს, რატომ დაფიქსირდა ამ კომპანიის ეგზიტპოლებში 7-პროცენტიანი ცდომილება და რატომ გაამარჯვებინეს დავით ნარმანიას პირველ ტურში.

საზოგადოებისთვის კი ეს ჭკუის სასწავლებლად გამოდგება, რომ ამიერიდან აღარ ენდოს ეგზიტპოლის შედეგებს და მომავალში არჩევნების ოფიციალურ წინასწარ შედეგებს დაელოდოს. ისე, ჩვენს საზოგადოებას ჭკუის სასწავლებლად წარსულში უამრავი ამგვარი მაგალითი ჰქონდა, რაც ჩვენში ეგზიტპოლებით მანიპულირება განხორციელებულა, ვინ მოთვლის. მაგრამ ერთით მეტი გაკვეთილი ნამდვილად არავის აწყენს.

**ლევან ჯავახიშვილი**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნიკა მელია უნდა იყოს მშიერი და მთვრალი“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გოგა ხაჩიძე არჩევნების მეორე ტურში მონაწილე კანდიდატების დებატებთან დაკავშირებით „ფეისბუკზე“ პოსტს აქვეყნებს.

„დავით ნარმანიას საარჩევნო შტაბის განცხადება:

თუ საზოგადოებას სურს დებატები, გარდა ნეიტრალური ტერიტორიისა, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოთხოვნები: ნიკა მელია უნდა იყოს ხელ-ფეხშეკრული; ნიკა მელია უნდა იყოს მშიერი და მთვრალი (უმჯობესია არაყით); დავით ნარმანია დებატებს უნდა დაესწროს მშობლებთან ერთად; დავით ნარმანიას ხმას უნდა დაედოს სპეცეფექტები (რევერი და ჰოლი); დავით ნარმანიას ტრიბუნასთან უნდა იდოს ცივი საზამთრო და დანა (საზამთრო – სასურველია დაუჭრელი); ჟურნალისტებს ეკრძალებათ დავით ნარმანიასთვის კითხვების დასმა თბილისთან დაკავშირებით; დებატების მიმდინარეობისას, ნებისმიერ დროს, დავით ნარმანიას უნდა შეეძლოს სტუდიაში ორი მოცეკვავის შემოყვანა და გამარჯვების აღნიშვნა უცნაური ცეკვით; თუ დავით ნარმანიას რაიმე გამონათქვამს ვერ გაიგებთ, საკუთარ თავს უნდა დააბრალოთ; დებატების მიმდინარეობისას, ნიკა მელიას ტრიბუნას, დასაბნევად და დასათარსად ბურთის კენწვლით წრეებს უნდა ურტყამდეს ვიცე-პრემიერი კალაძე; დებატების შედეგები უნდა დათვალოს ირაკლი ღარიბაშვილმა“. – წერს ხაჩიძე. (ნიუპოსტი)

## „ქინძმარაულის“ ფალსიფიცირების ფაქტი გამოავლინეს




საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ქართული ღვინის „ქინძმარაულის“ ფალსიფიცირების ფაქტი გამოავლინეს.

უწყების ინფორმაციით, შპს „იბერიას“ თანამშრომლები, მატერიალური და ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, სისტემატურად ახორციელებდნენ ფალსიფიცირებული ღვინის, დამზადებას და შემდგომში სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებზე მის რეალიზებას.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელი არ შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს და ხელოვნური ჩარევის შედეგად შეცვლილი ჰქონდა ბუნებრივი თვისობრიობა. მათივე განმარტებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 1-დან 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“,– ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნატო ღია კარის პოლიტიკას ძალაში ტოვებს



ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი აცხადებს, რომ კონსენსუსი ნამდვილად არსებობს იმაზე, რომ ღია კარის პოლიტიკა ძალაში დარჩეს:

„ალიანსის ყველა წევრი დარწმუნებულია, რომ ღია კარის პოლიტიკამ ევროპის სტაბილურობას შეუწყო ხელი, ამიტომ ღია კარის პოლიტიკა ძალაში უნდა დარჩეს. წევრებს სურთ, რომ ასპირანტ ქვეყნებთან თანამშრომლობა ინდივიდუალურად, მათ მიერ მიღწეული პროგრესის მიხედვით განისაზღვროს და არა ერთიანად, როგორც ქვეყნების ჯგუფის. სხვა მიდგომაა ბოსნია-ჰერცოგოვინასთან, სხვა მონტენეგროსთან და სხვა საქართველოსთან. ამიტომ წევრები მსჯელობენ, რა შესთავაზონ და როგორ დააყენონ გზაზე, რომელიც მათ მიიყვანს ევროპამდე. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ნატო-ს საქართველო დაუახლოვდა რეფორმებით, ეს სიმართლეა. ჩვენს პარტნიორებს თუ გადავხედავთ ყველაზე მეტად საქართველოსთან გვაქვს მჭიდრო კავშირები. ეს იმის გამოა, რაც საქართველომ გააკეთა და იმის გამოც, რომ ნატო-ს სურს საქართველოსთან ახლოს ყოფნა. კიდევ ერთი რამ აღნიშნა გენერალურმა მდივანმა – წლიური ეროვნული პროგრამა და ნატო-საქართველოს კომისია წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით არის ძალიან მნიშვნელოვანი და საკმარისი, რომ საქართველო მოემზადოს ნატო-ს წევრობისთვის. წლიური ეროვნული პროგრამა ძალიან ჰგავს წევრობის სამოქმედო გეგმას – მაპ-ს. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, ქართველებმა იცოდნენ, რა სარგებელს მოუტანს ქვეყანას ის პაკეტი. ვფიქრობ, კმაყოფილები დარჩებით“. – განაცხადა აპატურაიმ. (ნიუპოსტი)

**სააკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ სააკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ სააკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.**

**„ალია“-„ქრონიკა“**

# რას უყვება „ალიას“ ეკა ბესელია სტრასბურგიდან




**სტრასბურგში ევროპის პარლამენტის სესიები დაიწყო. ამ კვირაში აირჩევენ ახალ გენერალურ მდივანს და იქნება მოსმენები. 24 ივნისს სესიაზე უკვე გამოვიდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი. საქართველოს პარლამენტის დელეგაციის წევრებს ჰქონდათ სურვილი, მას ბაქოს ინციდენტზე (ვგულისხმობ ირმა ნადირაშვილისა და ზურაბ ჯაფარიძის სკანდალურ ვოიაჟს ბაქოში) დალაპარაკებოდნენ, მაგრამ ალიევმა გამოსვლის შემდეგ სწრაფად დატოვა სტრასბურგი, ჩვენი ყოფილი პრეზიდენტივით არ დაუწყია ბაზრებში სირბილი. ევროპის საპარლამენტო სესიაზე ასევე სიტყვით გამოვა უკრაინის ახალი პრეზიდენტი, პეტრე პოროშენკო.**

**რაც შეეხება საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებს, ამაზე სტრასბურგიდან „ალიას“ უმრავლესობის წევრი, ეკა ბესელია ესაუბრება:**

– ამავე კვირაში იგეგმება მონიტორინგის კომიტეტის სხდომა, სადაც ადგილობრივი არჩევნების პირველი შუალედური მოხსენება იქნება განხილული. ჩვენ ვაპირებთ ვისაუბროთ იმ დადებით შედეგებსა და ტენდენციებზე, რაც მიანიშნებს, რომ არჩევნები ჩატარდა დემოკრატიულად. ამავე დროს იქნება საუბარი ფაქტებზე, რაც ხდებოდა და რაზეც მოხდა რეაგირება სამართალდამცავების მიერ. ე.წ. ოპოზიცია ეცდება, წარმოადგინოს დამძიმებული და არაობიექტური ინფორმაცია, ჩვენ კი გვინდა, რომ ევროსაბჭოს ჰქონდეს რეალური ინფორმაცია.

**— გასაგებია, რომ ილჰამ ალიევმა სტრასბურგი დატოვა, მაგრამ ბაქოს ინციდენტთან დაკავშირებით არ გექნებათ საუბარი აზერბაიჯანულ დელეგაციასთან?**

– აზერბაიჯანის დელეგაციის წევრებს ჯერ არ შევხვედრივართ. ვნახოთ, რა სიტუაცია იქნება.

**— ვინც არიან ოპოზიციიდან, ანუ „ნაციონალებიდან“ მანდ, შეუძლიათ, საქმე გააფუჭონ?**

– ოპოზიციიდან დავით ბაქრაძე და ჩიორა თაქთაქიშვილი არიან. ამჯერად გიორგი კანდელაკი ვერ ჩამოვიდა და მონიტორინგის სხდომის გადადებას ითხოვდა. რასაკვირველია, „ნაცმოძრაობა“ ცდილობს, ყველას არასწორი, მცდარი ინფორმაცია მიაწოდოს და გაავრცელოს. სადაც ჩვენ ვესწრებით, იმ სხდომებზე ბუნებრივია, სრულიად მარტივად ხდება სიმართლის დანახვა, ფაქტები მეტყველებს ყველაფერზე.

**— რა გამოდის, მაგათ აღარ უჯერებენ?**

– ახლა ვფიქრობდი, წინა დელეგაციიდან ოპოზიციას სტრასბურგში ერთხელ მაინც რომ დაეყენებინა საკითხი იმაზე, რაც ქვეყანაში ხდებოდა, ასეთი ძალადობა, ასეთი ტერორი, ამდენი პოლიტპატიმარი და ასეთი ანგარიშსწორება არ იქნებოდა 9 წლის განმავლობაში.

**— რა თქმა უნდა, მაგრამ მაშინ რომ საპარლამენტო ოპოზიცია მიშას დუდუკზე ცეკვავდა, ეს ვიცით.**

– და ეს დღეს უფრო გამოჩნდა.

**— „ნაცებს“ თანამოაზრეები ისევ ჰყავთ ევროპარლამენტში?**

– კი ისინი ყველა მეთოდით ცდილობენ, ვისთანაც კი ხელი მიუწვდებათ, ცრუ ინფორმაციას აწვდიან. თუმცა საერთაშორისო საზოგადოებისთვის, ევროპის საბჭოს ქვეყნებისთვის ცნობილია ის ფაქტები, რასაც თვითონ სჩადიოდნენ, ეს ფაქტები დღეს უკვე გასაჯაროვდა. „ნაციონალებს“ თანამოაზრეები არ ჰყავთ, დარჩა მხოლოდ ის ჯგუფი, რომელთანაც ისინი არიან ასოცირებულები – „სახალხო პარტიის“ წევრებთან.

**— კი, ბატონო, ევროპამ თუ გაიგო, რას სჩადიოდნენ 9 წლის განმავლობაში, კარგია, მაგრამ ეს არის იმის საფუძველი, რომ საქართველოში დაიწყოს სამართლიანობის აღდგენა?**

– ევროპის საბჭოსთვის ადამიანის უფლებების პატივისცემა არის მთავარი და როდესაც საჯაროვდება ფაქტები, რომ ადამიანის სიცოცხლე და მისი ღირსება არაფრად ულირდათ, ეს ვერ გადაიფარება ვერანაირი პიარით.

**— ესე იგი, თქვენ უნდა დაუმტკიცოთ ევროსაბჭოს, რომ „ნაციონალები“ არიან დამნაშავეები?**

– დიახ... „ნაციონალები“ ამტკიცებენ, რომ საქართველოში პოლიტიკური დევნაა გაჩაღებული ოპოზიციის მიმართ და თურმე ხელისუფლება ძალადობს. თურმე ხელისუფლებას მათი გაქრობა სურს პოლიტიკიდან და აქვე მოჰყავთ პრემიერ-მინისტრის სიტყვები. ჩვენ ვუხსნით, რომ ხალხი, პირიქით, ხელისუფლებაზეა განაწყენებული, „ნაციონალებს“ არ სჯითო. ცდილობენ, ტალახში ამოსვარონ პრემიერი, მაგრამ არ გამოსდით. სამართლის აღსრულების პროცესი დაწყებულია და ეს უნდა გაგრძელდეს თანმიმდევრულად, ძალიან ბევრი საქმის გამოძიება ერთდროულად დაიწყო.

**— ეკა, სამართლიანობის აღდგენის პროცესი როგორაა დაწყებული, როცა სასამართლოებს ისევ უკუღმა გამოაქვთ გადაწყვეტილებები? სასამართლო რომ ისევ „ნაცებისაა“, ამაზე არ ლაპარაკობთ?**

– მიმდინარეობს ასობით საქმის გამოძიება, ჩემთან უამრავი საჩივარი შემოვიდა, რეკორდული მაჩვენებელია – 18 000-ზე მეტი.

**— შედეგი? სასამართლოში რას მივიღებთ? კეზერაშვილს რომ გაამართლებენ, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ?**

– ვისთანაც გვქონდა საუბარი, ყველა ჯანსაღად აფასებს საქართველოში მიმდინარე პროცესებს.

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**



## სააკაშვილის რამდენიმე ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა

ფინანსთა სამინისტროს აკადემიის, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის შექმნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებები გაუქმებულია. ბრძანებები ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერაა გამოცემული, მათ კი ძალადაკარგულად გიორგი მარგველაშვილი აცხადებს.

ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და მომსახურების სააგენტოს შექმნაზე გამოცემული ბრძანებები ძალადაკარგულად 15 ივნისიდან გამოცხადდა, სსიპ საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის შექმნაზე კი – 13 ივნისიდან. 20 ივნისს დაკარგა ძალა ექსპრეზიდენტ სააკაშვილის კიდევ ერთმა ბრძანებულებამ, რომელიც საქართველოს დაზვერვის სამსახურის ემბლემას, ემბლემის დებულებასა და დროშას ამტკიცებდა.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელი ვახტანგ ხმალაძე ბრძანებულებების გაუქმებას 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით ხსნის.

„გასული წლის ნოემბრამდე, სანამ ახალი კონსტიტუცია ამოქმედდებოდა და პრეზიდენტი ფიცს დადებდა, პრეზიდენტის უფლებამოსილებები განისაზღვრებოდა კონსტიტუციით და უამრავი სხვა კანონით. ნაწილი უფლებებისა ეწერა კონსტიტუციაში, ბევრი რამ ეწერა სხვა კანონებში. ზოგიერთი ასეთი კანონით პრეზიდენტს ჰქონდა უფლებამოსილება საჯარო სამართლის იურიდიული პირები დაეფუძნებინა. 2010 წელს კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილებები, რომელიც ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ ამოქმედდა. ამ კონსტიტუციით განისაზღვრა, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებები განისაზღვრება მხოლოდ კონსტიტუციით და არც ერთი სხვა კანონით. კონსტიტუციაში აღარ წერია პრეზიდენტის უფლებამოსილება, დააფუძნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ვინც აფუძნებს მერე თავადვე აქვს სსიპ-ების კონტროლის უფლება. ასეთი კონტროლის უფლება კონსტიტუციაში არ წერია“, – განაცხადა ხმალაძემ. (ნიუპოსტი)

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## ლიახვის ხიდზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია



თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 85-ე კილომეტრზე, მდინარე ლიახვზე არსებულ სახიდე გადასასვლელზე (ხაშური-თბილისის მიმართულება) მიმდინარე გეგმიური სამუშაოები დასრულდა. შეგახსენებთ, რომ 17 ივნისიდან ლიახვის ხიდზე, სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებით ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალული იყო. (ნიუპოსტი)

## მამაკაცი ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლეს



ხონის რაიონ სოფელ კუხში მეზობელმა მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, შემთხვევა 23 ივნისს საღამოს მოხდა. არსებული ინფორმაციით, მეზობელმა მამაკაცს ეჭვიანობის ნიადაგზე ესროლა. ფაქტზე გამოძიება 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. ბრალდებული უკვე დაკავებულია. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

**— „ნაცების“ დასჯაზე ყაბულს არიან? ხალხი იმუქრება, თუ ესენი არ დაისჯებიან, შემოდგომაზე ქუჩაში გამოვალთ და ვინც დიდ პრემიებს იწერს, იმათაც ზედ მივაყოლებთო.**

– სასამართლო რჩება მთავარ საკითხად. აშკარაა, რომ ხელისუფლებამ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, სასამართლოზე არანაირ ზეწოლას არ ახორციელებს და ეს თავისუფლება როგორ იქნება გამოყენებული და ვის სასარგებლოდ, სწორედ ამ განაჩენებით ჩანს და გამოჩნდება.

**— სასამართლოსთან დაკავშირებით, როგორც ვიცი, რაღაც ახალი პროექტი მუშავდება, ხომ არ ვცდები?**

– სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება თებერვალში იწურება. დიახ, რეფორმა უფრო გაძლიერდება და სასამართლო ნდობას მოიპოვებს.

**— სანამ ეგ მოხდება, კუბლაშვილები ტყავს გაგვაძრობენ.**

– ნდობა იქნება, როცა მოსამართლეები პოლიტიკურ დავალებებს არ შეასრულებენ. როდესაც იუსტიციის საბჭო იქნება ასევე დამოუკიდებელი და შეისწავლის იმ შემთხვევებს, როცა სჯიდნენ იმ მოსამართლეებს, ვინც სამართლიანობას იცავდა. ცოტა ხნის წინ ჩვენმა კომიტეტმა დასკვნა მოამზადა და უზენაესი სასამართლოს ყოფილ მოსამართლეების, ტურავას, გვენეტაძის, ლალიაშვილისა და სხვების მიმართ მიღებული გადაწყვეტილება შეაფასა, როგორც პოლიტიკური დევნა იმ პერიოდში. ბიურომ ეს დასკვნა დაამტკიცა და გავუგზავნეთ იუსტიციის საბჭოს. საბჭომ არ მიიღო გადაწყვეტილება. პარლამენტის მიერ არჩეული 5 წევრი აწერს ხელს ამ დასკვნას. ძალიან მძიმე შეფასებაა, მაგრამ საბჭოს უმრავლესობამ არ მიიღო, ისევ პარლამენტში გამოიგზავნა.



**„ცოტა ხნის წინ ჩვენმა კომიტეტმა დასკვნა მოამზადა და უზენაესი სასამართლოს ყოფილ მოსამართლეების, ტურავას, გვენეტაძის, ლალიაშვილისა და სხვების მიმართ მიღებული გადაწყვეტილება შეაფასა, როგორც პოლიტიკური დევნა... ძალიან მძიმე შეფასებაა, მაგრამ საბჭოს უმრავლესობამ არ მიიღო, ისევ პარლამენტში გამოიგზავნა“**

**— აჰა, ხომ ხედავ, თქვენ მიერ გაგზავნილ საქმეებსაც კი არ იხილავენ, არ იღებენ, ჩვეულებრივმა მოკვდავებმა რა ვქნათ?**

– ახლა ისევ მე დამეწერა და ამ საკითხზე საკომიტეტო მოსმენას ვაპირებ.

**— ეკა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ რომ ისევ „ნაცი“ ზის და არც კი წითლდება, ეგ როგორაა?**

– საზოგადოება მიიღებს იმას, რასაც ელოდება. მალე იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე. ველოდებით გადაწყვეტილებას „იმედის“ თემაზე და რიყის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის შესახებ ვერდიქტს. ახალი რეალობა ბევრ რამეს შეცვლის სასამართლოში და ვფიქრობ, საჭიროა სასწრაფო ცვლილებები – უზენაეს სასამართლოში უნდა დაინიშნონ ახალი მოსამართლეები. გარკვეული სისტემატიცაზია დაიწყო იმ საჩივრების, რაც პროკურატურაშია შესული და მიმაჩნია, რომ უკანონო განაჩენების შესწავლაც უნდა მოხდეს. რომელი მოსამართლეებიც დანაშაულს სჩადიოდნენ, საკუთარ საქმეებს თავად ხომ არ განიხილავენ? დღეს თავად ბატონი კუბლაშვილი აღიარებს, რომ სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი და ვერ ბედავდნენ ხმის ამოღებას. ამას ადამიანები შეეწირნენ. ისეთი ისტორიები ვიცი, ღამეები არ მძინავს ამ ადამიანების დარდით. ამათ ათასობით ადამიანს დაუნგრიეს ცხოვრება. მე ველოდები პროკურატურის გააქტიურებას არჩევნების მეორე ტურის დამთავრებისთანავე, სხვა გამოსავალი არ გვაქვს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

**„ნაციონალები“ ამტკიცებენ, რომ... თურმე ხელისუფლებას მათი გაქრობა სურს პოლიტიკიდან და აქვე მოჰყავთ პრემიერ-მინისტრის სიტყვები. ჩვენ ვუხსნით, რომ ხალხი, პირიქით, ხელისუფლებაზეა განაწყენებული, „ნაციონალებს“ არ სჯითო. ცდილობენ, ტალახში ამოსვარონ პრემიერი“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ემბარგო არ იქნება“



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, იგი არ თვლის, რომ საქართველოს მიერ ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერას შესაძლოა რუსეთის მხრიდან ემბარგო მოჰყვეს:

„ემბარგო არ იქნება და ეს არ არის რაღაც იდეალური წარმოდგენა, ეს არის, მე ვფიქრობ რეალისტური შეფასება, რადგან არ მგონია, რუსეთის ინტერესებში იყოს ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებში წინგადადგმული ნაბიჯებიდან უკან დახევა, რაც აუცილებლად მოხდება, თუკი რუსეთი ასეთ კატეგორიულ ზომებს მიმართავს“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ნიუპოსტი)



## ხმების გადათვლისთვის საპარლამენტო კომისიის შექმნა აუცილებელი არაა

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე მიიჩნევს, რომ თვითმმართველობის არჩევნების ხმების გადათვლისთვის საპარლამენტო კომისიის შექმნის აუცილებელი არაა, რადგან კანონის მიხედვით, ხმების გადათვლის უფლებამოსილება აქვს საოლქო საარჩევნო კომისიას.

„ხმების გადათვლის საკითხი ზოგადად ოცი წელია დგას. როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო ოპოზიცია თავის დროზე მრავალგზის ითხოვდა ამას და პრაქტიკულად, არასოდეს, წლევანდელ წლამდე, არც საარჩევნო კომისიებს დაუკმაყოფილებიათ ეს მოთხოვნა, არც სასამართლოებს. ადგილობრივი არჩევნების დროს, 2002 წელს, როდესაც უზენაეს სასამართლოში მოსარჩელის წარმომადგენელი გახლდით, სრულიად აშკარა მტკიცებულებები გვქონდა დარღვევების და მაშინ ესეც კი არ დააკმაყოფილა უზენაესმა სასამართლომ“, – განაცხადა ხმალაძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბორჯომის ტყე-პარკში გაუჩინარებულ გერმანელ მეცნიერს ისევ ეძებენ



შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში 8 ივნისს გაუჩინარებული 73 წლის გერმანელი მეცნიერის, ჰანს ჰოეფლეს მოსანახად ფართომასშტაბიანი საძიებო-სამაშველო ღონისძიება ჩაატარა. შეიქმნა 15 სამაშველო ჯგუფი, რომლებმაც აწყურის, ბორჯომის, ხარაგაულისა და ბაღდათის მიმართულებით 15 სხვადასხვა მარშრუტი გაიარეს და ტყე-პარკის ყველა ხეობა დეტალურად დაათვალიერეს.

გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე ჰანს ჰოეფლე გერმანიის საერთაშორისო განვითარების საზოგადოების მოწვევით ესტუმრა საქართველოს. ექსპერტი 7 ივნისს ბორჯომის ხეობაში დასასვენებლად წავიდა. 10 ივნისს „112“-ში მისი დაკარგვის შესახებ შეტყობინება შევიდა. შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო ჯგუფებმა იმავე დღეს დაიწყეს საძიებო-სამაშველო ღონისძიება. მეცნიერის მოსანახად საძიებო ღონისძიება გრძელდება. (ნიუპოსტი)


## განცხადება

2014 წლის 15 აგვისტოს, 14 საათზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: დაბა ხელვაჩაური, ალმაშენებლის ქ. №7), გაიმართება კირნათი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საპროექტო ცვლილებები ითვალისწინებს, კირნათი ჰესის საპროექტო კაშხლის სიმაღლის გაზრდას 53 მ ნიშნულიდან 57 ნიშნულამდე.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში — დაბა ხელვაჩაური, ალმაშენებლის ქ. №7;
- შპს „აჭარენერჯი 2007“-ის ოფისში – ქ. ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ქ. №20;
- შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.

**ტელ:** 2 60 15 27.

საზოგადოებისგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა საჯარო განხილვის თაობაზე განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში.

**შპს „აჭარენერჯი 2007“-ის ადმინისტრაცია**

# როგორ გეგმავენ ილიაუნში ღარიბაშვილისა და ივანიშვილის მოცილებას მეორე ტურის შემდეგ?

**„ალიას“ ესაუბრება ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე:**

– არჩევნებამდე ილიას სახელობის უნივერსიტეტში გიგი თევზაძის გუნდმა ყურადღება გაამახვილა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მარგველაშვილის აშკარა ჩაგვრის ტენდენციაზე. ვგულისხმობ იმ ფაქტს, რომ პრემიერის მოთხოვნით, პრეზიდენტის კანცელარია გაიწმინდა გარკვეული ხალხისგან. არადა, თევზაძე ელოდა, რომ სიტუაცია დაიძაბებოდა. მათდა სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, მაგრამ გიგისთვის მეტად იმედმომცემია სააკაშვილისა და ჩვენი პრეზიდენტის შეხვედრა უკრაინაში. ახლა გეტყვით ფაქტს, რომელიც არსად გახმაურებულა. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, ეს ისაა, რომ პრეზიდენტი სანდრარულოვსსაც შეხვდა კიევში და, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მათ შორის ურთიერთობები სრულად აღდგა, ერთი მხრივ, სააკაშვილსა და მარგველაშვილს და, მეორე მხრივ, მარგველაშვილსა და რულოვსს შორის.



**— წარსულში ისინი ისედაც მეგობრები იყვნენ.**

– თან ძალიან ახლო და კარგი მეგობრები. ამ შერიგებას თევზაძე რომ დიდად მიესალმება, მან ეს თავისი აკადემიური საბჭოს სხდომაზე ხმამაღლა განაცხადა.

**— და რაზე იყო საუბარი მათ შორისო, ეს თუ გახდა ცნობილი?**

– შეხვედრებზე საუბარი იყო ივანიშვილის, ღარიბაშვილისა და მათი სატელიტების მოცილებაზე ქართული პოლიტიკური სივრციდან. ფრაზაც კი განაცხადა გიგი თევზაძემ, რაც თურმე ითქვა ამ შეხვედრის დროს: გარედან – მე და შიგნიდან – შენ! ანუ, ამ საქმისთვის მიშა სააკაშვილი იგივე ამერიკიდან იბრძოლებს და მარგველაშვილმა კი იმ უფლებით უნდა მიხედოს ამ საქმეს, რასაც მას კონსტიტუცია აძლევს; რომ მან არ უნდა დათმოს არც ერთი უფლება, ეს საპრეზიდენტო უფლებები კი ნამდვილად აქვსო. სააკაშვილს მიუნიშნებია, რომ უნდა დაიძლიოს შიშის გრძნობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უარესი დაგვემართებაო. ამ შეხვედრისას სხვა საკითხებიც დაისმებოდა, მაგრამ ყველაფერი ვერ გამოვიდოდა გარეთ. ერთი ცხადია, რომ ეს შეხვედრები მიმართული იყო ივანიშვილისა და ღარიბაშვილის წინააღმდეგ. რაც შეეხება არჩევნებს: არჩევნებს ილიაუნი დაძაბული შეხვდა, თევზაძე განსაკუთრებით ნერვიულობს, რომ არჩევნების თარიღს არავინ აცხადებს, ეს იმას ნიშნავსო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უკვე დაინახა თავისი სისუსტე, რადგანაც ხალხმა ზურგი აქცია და, ფაქტობრივად, იგრძნო თავისი მომავალი გაფარჩაკებაო, რომ „ოცნება“ ზეწოლას ახდენს ცესკოს თავმჯდომარე ჟვანიაზე. ხოლო ის, რომ ჟვანიას უპირებენ განათლების მინისტრობას, ეს სულ ახლახან მოვისმინე ერთი ჩემი წყაროსგან.

**— ჟვანია მინისტრად? და სანიკიძე?**

– თევზაძის თქმით, ამაზე უარესი თავმჯდომარე ცესკოს არ ჰყოლია, სუბიექტური და მიკერძოებულია და ერთი სული აქვს, ეს ქალი იქიდან როდის წამოვა. ილიაუნში სჯერათ, რომ პრემიერის გუნდი „ჩალიჩობს“, მარგველაშვილი იძულებული გახადონ, სანიკიძე თავისთან წაიყვანოს ადმინისტრაციაში, ხოლო ჟვანიას უკვე, დე ფაქტოდ, დაჰპირდნენ მინისტრობას და არჩევნების შემდეგ ის დაიკავებს მინისტრის ადგილსო. ამით ჟვანიას მისცეს სტიმული, რომ „ქართული ოცნების“ მხარე დაიჭიროს. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, სანიკიძე ისედაც „ნაციონალებს“ ემსახურა, მაგრამ გიგი მაინც უკმაყოფილოა და ბუღალტერს ეძახის, რადგანაც სანიკიძე, მართლაც, მარგველაშვილის რექტორობის დროს „ჯიპას“ ყოფილი ბუღალტერი იყო. თევზაძის თქმით, რაც მან და ლომაიამ გააკეთეს განათლების სისტემაში, სანიკიძემ გაანადგურა და დაშალა და, რაც უფრო დროზე მოშორდება ამ სისტემას, მით უკეთესია.

ილიაუნში ერთი ამბით ელოდები-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# „გალფმა“ ქართულ ბაზარზე ახალი ინოვაციური საწვავი G-Force პრემიუმი და G-Force ევრო რეგულარი წარადგინა




ნავთობპროდუქტების იმპორტიორმა კომპანია „გალფმა“ გელოვანის გამზირზე მდებარე „გალფის“ ავტოგასამართ სადგურზე მომხმარებლებს ახალი რევოლუციური საწვავი **G-Force** პრემიუმი და **G-Force** ევრო რეგულარი წარუდგინა. **G-Force** პრემიუმი და **G-Force** ევრო რეგულარი უცხოელი სპეციალისტების დახმარებით სპეციალურად საქართველოს ბაზრისთვის შეიქმნა. მოგვიანებით კი სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა ახალი საწვავის პრეზენტაცია და პრეს-ლანჩი რომელსაც კომპანია „გალფის“ კომერციული დირექტორი ჰრისტო ივანჩევი წარუძღვა.

კომპანიის კომერციულმა დირექტორმა ორმოცწუთიანი პრეზენტაციის დროს ახალი ინოვაციური საწვავის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა მედიის წარმომადგენლებს. ჰრისტო ივანჩევის თქმით, აღნიშნული საწვავი უნიკალურია და სხვა საწვავებისგან განსხვავებით ის მატებს ძალასა და სისწრაფეს ავტომობილს, ზრდის საწვავის მოხმარების ეფექტურობის დონეს და ამცირებს ხარჯს საწვავზე. „გალფის“ კომერციული დირექტორის თქმით, **G-Force** პრემიუმი და **G-Force** ევრო რეგულარი ინოვაციაა ქართულ ბაზარზე და გარდა იმისა, რომ აღნიშნული საწვავი მხოლოდ ქართული ბაზრისთვის შეიქმნა, მათ ასევე არ ჰყავთ კონკურენტი ამ ორი დასახელების საწვავზე.

კომპანიის წარმომადგენლებმა პრეზენტაციაზე ილუსტრაციისთვის ორივე სახეობის საწვავი მოიტანეს. **G-Force** პრემიუმი ლურჯი შეფერილობისაა, ხოლო **G-Force** ევრო რეგულარი – მწვანე. **G-Force** ეფექტურად იცავს ავტომობილის ძრავის დეტალებს ცვეთისგან. როგორც ჰრისტო ივანჩევმა განმარტა, აღნიშნული საწვავი არ არის მხოლოდ სპორტული ავტომობილებისთვის, ის საყოველთაო მოხმარებისაა, ანუ მათთვის ვისაც სურს ეკონომიური ხარჯვა საწვავისა, ძრავის დაცვის უზრუნველყოფა და სისწრაფის ხარისხის ამაღლება.

პრეზენტაციაზე მედიის წარმომადგენელთა შეკითხვებსაც უპასუხეს, საიდანაც გაირკვა ორი ინოვაციური საწვავის მახასიათებლები.

**G-Force** გამოირჩევა მაღალი ოქტანური რიცხვით, არ შეიცავს ტყვიას და გოგირდს. **G-Force**-ში მინიმუმამდეა დაყვანილი ბენზოლისა და სხვა არომატული ნახშირწყალბადების შემცველობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ეკოლოგიური თვალსაზრისით. **G-Force** ხასიათდება მაღალი ნაჯერი ორთქლის წნევით, რაც განაპირობებს ბენზინის სრულ წვას. იცავს ძრავს მავნე მინარევების დალექვისგან და მეტიც, ასუფთავებს მას, რაც ახანგრძლივებს ძრავის მუშაობას.

ფიზიკოსი გიორგი ბაქრაძე ახალ ინოვაციურ საწვავს ასე ახასიათებს:

**G-Force** ხელს უწყობს ბენზინის ეთანოლის ნარევების „არვიპ“-ის, რაც არის ბენზინის ორთქლის სიმკვრივე, რიგი სისტემის მიხედვით შემცირებული. გააჩნია დაბალი მიკრობიოლოგიური დაბინძურება და ბიოციტების გამოყენების ნაკლები საჭიროება, ძრავის გაუმჯობესებული ფუნქციონირება და ტექნიკური მომსახურების ნაკლები საჭიროება. საწვავის სპეციფიკაციები, რომლებიც შეესაბამება სამრეწველო სტანდარტების მოთხოვნებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „გალფის“ ახალი, სპეციალურად ქართული ბაზრისთვის შექმნილი საწვავი არ არის მხოლოდ სპორტული მანქანებისთვის და ის საყოველთაო მოხმარებისაა.

მრბოლელი მევლუდ მელაძე „გალფის“ **G-Force**-ს შეფასებისას ამბობს, რომ ის თავისი მახასიათებლებით უნიკალურია, ვინაიდან ძალიან აკურატულია ძრავთან მიმართებაში, რადგან უვლის მთელ სისტემებს, მათ შორის ახერხებს, რომ გაბიდნული სისტემები გაწმინდოს. „ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის, ესაა ეკონომია, ვინაიდან ძრავი კარგად მუშაობს და სიმძლავრეს კარგად გამოიმუშავებს, შესაბამისად, ძალიან ცოტა საწვავს მოიხმარს. ჯამი რომ ავაგროვოთ 15%-მდე მივალთ ეკონომიით, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს სწორედ ის საწვავია, რომელიც ჩვენ გვჭირდება.

„გალფი“ ახალი საწვავის პრომოაქციებსაც შესთავაზებს მომხმარებელს, კერძოდ: ყოველ 10 ლიტრ **G-Force**-ის საწვავზე საჩუქრად 1 არომატიზატორი. ყოველ 15 ლიტრ საწვავზე საჩუქრად 1 ბოთლი „სნო“, ხოლო ყოველ 20 ლიტრ საწვავზე – 1 ბოთლი „კოკა-კოლა“.

უახლოეს პერიოდში გალფი მომხმარებელს **G-Force Diesel**-საც შესთავაზებს.



*მეხუთე გვერდიდან*

ან არჩევნების მეორე ტურს და აი, მივედით ძაღლის თავამდე: იცით, რომ ცხინვალის მთავრობამ გამოაცხადა გადაწყვეტილება, ჩაატარონ რეფერენდუმი, რომ შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში და, თუ ეს ასე მოხდა, მაშინ, „ქართული ოცნების“ რეიტინგი საბოლოოდ დაეცემა. ამით „ნაციონალებს“ მაინცდამაინც არაფერი მოემატებათ, რადგანაც ხალხმა ორივეს უარი გამოუცხადაო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში „ოცნება“ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება და ივანიშვილი გაიქცევაო. აცხადებენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, მიუხედავად ყველაფრისა არის ჩამოყალიბებული ორგანიზმი, რომელსაც ყველა შემთხვევაში 20-დან 25 პროცენტამდე ხმები გარანტირებული აქვს და უხარიათ, რომ „ოცნების“ რეიტინგი ძალიან დაეცა. მაგათი გუნდი იმით იმშვიდებს გულს, რომ მათი აზრით, ამ უკმაყოფილების გამოხატვა საფუძველს მისცემს „ნაციონალების“ უკან დაბრუნებას. მაგრამ მანამდე თევზაძე უკმაყოფილოა, რომ ამ ფონზე „ნაციონალებმა“ მაღლა ვერ ასწიეს ხმები. ანუ, როცა ორი პარტიაა, ერთის ხმების კლებამ მეორის ზრდა უნდა გამოიწვიოს და აქ კი ეგრე არ მოხდა. ამიტომ, ესენი თვლიან, რომ წინააღმდეგობა მკვეთრი და ხისტი უნდა იყოს, რომ ხალხის გული ისევ მოიგონ, მაგრამ ხალხის გული მაგათ როგორ უნდა მოიგონ, როცა ქუჩაში სადაც დაინახავენ, ლამის ყველა გალახონ.





**„პრემიერის გუნდი „ჩალიჩობს“, მარგველაშვილი იძულებული გახადონ, სანიკიძე თავისთან წაიყვანოს ადმინისტრაციაში, ხოლო ჟვანიას უკვე, დე ფაქტოდ, დაჰპირდნენ მინისტრობას და არჩევნების შემდეგ ის დაიკავებს მინისტრის ადგილსო“**

**— თავად გიგი თევზაძე სოციოლოგიაში მუშაობდა, როგორც მახსოვს, და არ ჰქონდა წინასწარი გათვლა, რამდენ ხმას აიღებდა „ოცნება“?**

– აკადემიური საბჭოსთვის წინასწარ უთქვამს, „ოცნება“ 20 პროცენტს აიღებსო, მაგრამ 43 პროცენტი რომ აიღო ნარმანიამ, გიგის განუცხადებია, ეს დანარჩენი პროცენტი სახელმწიფო რესურსი გამოიყენაო. ანუ, თევზაძე ამბობს, რომ დღეს არც ერთ მხარეს არ აქვს 25 პროცენტზე მეტი რეალური მხარდაჭერა, რაც შეეხება ბურჯანაძეს, პირდაპირ გეტყვით, მას თევზაძე ნაფტალინმოყრილს ეძახის და აცხადებს, რომ ნინო ივანიშვილმა მოიყვანა და დიდ პერსპექტივას არ უსახავს, ივანიშვილის „ზაკაზს“ ეძახის: ერთხელ სწორედ ივანიშვილმა თქვაო, ბურჯანაძე და ინაშვილი უნდა იყონ ჭეშმარიტი ოპოზიციაო და შეასრულა კიდეცო. რაც შეეხება ინაშვილს, თევზაძე და ბოკერია ირმა ინაშვილს ფაშისტს ეძახიან, ბოკერია ხომ თევზაძის თავსახურია და ერთნაირად ლაპარაკობენ. მაგათ მაგ სიტყვის ცნებაც არ იციან, ეგენი ხომ ანტიეროვნულები არიან და სამშობლოსა და ქვეყნის სიყვარული რომ ფაშიზმად მიაჩნდეთ, გიკვირთ? ცხადია, ცდებიან. ასევე, ცდებიან ბურჯანაძის შეფასებაში, რა, ერთად არ მოვიდნენ? გარდა ამისა, თევზაძის აზრით, კოჰაბიტაცია არ არსებულა საქართველოში.

**— აბა, რა ჯანდაბა იყოო?**

– მას მიაჩნია, რომ ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძალა: სააკაშვილისა და შევარდნაძის ძალა, ივანიშვილსა და ღარიბაშვილს შევარდნაძის რუსულ ძალად მოიხსენიებს.

**— და სააკაშვილს შევარდნაძის გაზრდილ-შემოგდებულად არა?**

– რას ამბობ, სააკაშვილსა და თავის თავს არ თვლის შევარდნაძის ძალად და, მისი სიტყვით, სააკაშვილი მაგათ გაემიჯნა. უნივერსიტეტში ამბობენ, რომ მათ ვერ გამოიჩინეს ფხა და მზამზარეულად დაუთმეს „ოცნებას“ მთელი ბიუჯეტი, რომელიც ნულზე ჰყავთ დღეს დაყვანილი.

**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**

# წყნეთში სარწყავი სისტემების მოსაწყობად საკანალიზაციო მილები განზრახ დააზიანეს

მოძველებული და დაზიანებული საკანალიზაცო მილებით გამოწვეული პრობლემა წყნეთის მოსახლეობას წლების განმავლობაში აწუხებდა. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ წყნეთის რამდენიმე ქუჩის მაცხოვრებლებს ეს პრობლემა მოუგვარა, როდესაც კომპანიამ საკანალიზაციო მილები განაახლა და ქსელებს რეაბილიტაცია ჩაუტარა. რამდენიმე დღის წინ კი გაირკვა, რომ რეაბილიტირებულ საკანალიზაციო მილებს რამდენიმე ადგილობრივი განზრახ აზიანებს, რათა ფეკალური წყლებით ბაღ-ბოსტანი მორწყას.

როგორც „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“ განმარტავენ, კომპანიის ცხელ ხაზზე ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელიც წყნეთში, ნუშის ხეივნის ქუჩაზე ცხოვრობს, ამ ქუჩაზე გამავალი საკანალიზაციო ქსელის განზრახ დაზიანების თაობაზე შეტყობინება დატოვა. კომპანიის ტექნიკურმა ბრიგადამ და წყალარინების სამსახურის უფროსმა ადგილზე დაათვალიერეს წყნეთში, ნუშის ხეივნის ქუჩაზე დაზიანებული ქსელი. აღმოჩნდა, რომ საკანალიზაციო ქსელი და ჭა მართლაც განზრახ იყო დაზიანებული იმ მიზნით, რომ მინი-სარწყავი ნაგებობა მოეწყოთ. ადგილზე მისულ კომპანიის წარმომადგენლებს შემდეგი სურათი დახვდათ: ჭაში ჩადგმული იყო სპეციალური ფარი, რომლითაც საკანალიზაციო წყლების გადაკეტვა-გაშვება ხდებოდა. ასევე, ჭის კედელზე საკმაოდ დიდი მოცულობის - 100 მმ-იანი ხვრელი იყო გაკეთებული, რომელშიც ასეთივე დიამეტრის მილი იყო მოთავსებული. მილით საკანალიზაციო წყლები ჯერ სპეციალურად მოწყობილ 15-მეტრიან არხში ჩაედინებოდა, შემდეგ ახლომდებარე ჭაში და ამგვარად ხვდებოდა ხევში, საიდანაც დიდი მოცულობის საკანალიზაციო წყლები ხევის ქვემოთ მდებარე ბაღებსა და ბოსტნებში ხვდებოდა.

ამჟამად წყნეთში 3 500 მეტრი სიგრძის წყალსადენის ქსელები უკვე განახლებულია თამარ მეფის, სააკაძის, თბილისის, ტაბიძის, არსენასა და კოსტავას ქუჩებზე. სხვადასხვა ქუჩაზე უკვე მოწესრიგდა საკანალიზაციო ქსელები. ყველა ამ ქუჩის მაცხოვრებელს მოუგვარდა საკანალიზაციო მილების პრობლემა, თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებიც არც კომპანიის მიერ გაწეულ სამუშაოს და არც ადგილობრივების საჭიროებას არაფრად აგდებენ და ცდილობენ კოპანიის მიერ აღდგენილი და რეაბილიტირებული საკანალიზაციო ქსელები პირადი ინტერესებისთვის გამოიყენონ. მას შემდეგ, რაც საკანალიზაციო მილების განზრახ დაზიანების ფაქტი გამჟღავნდა ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო პოლიცია, სადაც შედგა ოქმი. ამ დროისთვის უცნობია გამოვლენილი არიან თუ არა პირები, ვინც საკანალიზაციო ქსელი განზრახ დააზიანა.



თბილისის ახალ ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ 30-მდე დასახლებასა და სოფელში კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს" მასიურად გაყავს წყალსადენის ახალი მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელები, აშენებს ახალ რეზერვუარებს და სატუმბო სადგურებს. ამ კომპლექსურ ტექნიკურ სამუშაოებს კომპანია ახლადშემოერთებული დასახლებების 24-საათიანი წყალმომარაგების მიზნით ატარებს. წყალსადენის ქსელების მშენებლობის პარალელურად, ახლადშემოერთებულ დასახლებებში კომპანია რეაბილიტაციას უტარებს დაზიანებულ ან მოძველებულ საკანალიზაციო ქსელებსაც და აახლებს ძველ საკანალიზაციო ჭებსაც.

გამონაკლისი არც დაბა წყნეთია. მისი 24-საათიანი წყალმომარაგებისთვის „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს" უკვე დაწყებული აქვს მუშაობა. წყნეთში კომპანია 25 000 მეტრი სიგრძის ახალ მაგისტრალურ და გამანაწილებელ ქსელებს გაიყვანს, რეაბილიტაციას ჩაუტარებს წყლის სამ რეზერვუარს და ახალ სატუმბო სადგურსაც ააშენებს. ეს სამუშაოები მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლოს დასრულდება.

რამდნიმე ადგილობრივის გულგრილ და უკანონო ქმედებას აპროტესტებს წყნეთის მოსახლეობა. გიორგი ასათიანი, წყნეთის მცხოვრები: როგორც იქნა, საკანალიზაციო ქსელი მოწესრიგდა ჩვენს ქუჩაზე, თან, კარგად გააკეთეს, მაღალ დონეზე. ამ ქუჩის ყველა მაცხოვრებელი მიერთებულია ქსელთან, აღარ არის ანტისანიტარია. დაზუსტებით არ შემიძლია გითხრათ რა მოხდა, მაგრამ ხომ ჩანს, რომ ვიღაცამ განზრახ დააზიანა ჭა იმისთვის, რომ საკანალიზაციო წყლები სარწყავად გამოეყენებინა. ეს რამდენიმე დღეა ისევ ზედაპირულად მოედინება კანალიზაცია და ასე თუ გაგრძელდა, შეუძლებელი იქნება აქ ცხოვრება.

როგორც ნუშის ხეივნის ქუჩის მაცხოვრებლები აღნიშნავენ, ადრე, წლების განმავლობაში წყნეთის ბევრ ქუჩაზე კანალიზაცია, ზედაპირულად მოედინებოდა. ზოგიერთი მოსახლე განზრახ აზიანებდა და ამტვრევდა საკანალიზაციო ჭებსა და მილებს, რომ ამ წყლებით საკუთარი ნაკვეთები მოერწყა. მათი თქმით, ბოლო პერიოდში თბილისის წყალგამანაწილებელმა კომპანიამ წყნეთის სხვადასხვა ქუჩაზე მოაწესრიგა საკანალიზაციო ქსელი, მაგრამ როგორც ჩანს, ზაფხულის დადგომასთან ერთად, ისევ დაიწყეს ახლადმოწყობილი ჭებისა და საკანალიზაციო მილების დაზიანება, რომ საკანალიზაციო წყლებით ბაღები და ბოსტნები მორწყან. „ერთი, რომ ცხელა და ზედაპირულად გამოდინებული კანალიზაცით ანტისანიტარია და სუნი დგება, და მეორეა, რომ საკანალიზაციო წყლებით მორწყული ხილი და ბოსტნეული ჯანმრთელობისთვის საზიანოა“ - აცხადებენ ნუშის ხეივნის ქუჩის მაცხოვრებლები. ერთ-ერთმა მოსახლემ ის პირიც დაასახელა, რომელმაც განზრახ დააზიანა საკანალიზაციო ქსელი და რამდენიმე უცნობი ადამიანის დახმარებით ეს მინი-სარწყავი ნაგებობა მოაწყო.

ვანდალურ ფაქტს ეხმიანებიან კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერშიც“. როგორც კომპანიის წყალარინების სამსახურის ხელმძღვანელი ჯამა ჩიხალია ამბობს, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" საკანალიზაციო კოლექტორი ხელოვნურადაა დაზიანებული, გვერდიდან ჩადგმული აქვს მილი, რომელიც ჩაცემენტებულია, ჭაში კი ჩაყენებულია ფარი, რომლის მეშვეობით საკანალიზაციო წყლების ნაკადის მართვა ხდება.

„დაზიანებულ საკანალიზაციო მილში გაყვანილია არხი, სადაც ფეკალური წყლები ჩაედინება. ამ არხის მეშვეობით საკანალიზაციო წყლები ხევში გადაედინება - ანუ შექმნილია სპეციალური სარწყავი ნაგებობა, რომლითაც ახლომდებარე ნაკვეთების მორწყვა ხდება, ამას ადგილობრივი მოსახლეობაც კი ადასტურებს. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევები არცთუ იშვიათია და ამგვარ პრობლემებს ძირითადად, კერძო დასახლებებში ვაწყდებით - ფონიჭალაშიც დავაფიქსირეთ ასეთი შემთხვევები. ხშირად საკანალიზაციო ჭებში ბალიშებს და საბნებს ტენიან, რომ საკანალიზაციო წყლები ნაკვეთების მოსარწყავად გამოიყენონ. ყოველი ასეთი შემთხვევა არის დანაშაული და ზარალის მომტანი კომპანიისთვის, რაც მთავარია, ეს ხელს უშლის წყალარინების სისტემის სტაბილურად მუშაობას“-განმარტავს კომპანიის წყალარინების სამსახურის ხელმძღვანელი.

ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ხოლო საქმესთან დაკავშირებული მასალების მოკვლევა გრძელდება. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" წარმომადგენლების განცხადებით, ყოველი მსგავსი დანაშაულის დაფიქსირებისთანავე, საქმეს სამართლებრივი მსვლელობა მიეცემა.

# გიორგი მარგველაშვილი გადადგომას აპირებს?



„ალიასთვის“ ცნობილი ხდება, რომ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გადადგომას აპირებს. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ამის შესახებ კულუარებში გახმოვანდა. შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილთან დაძაბული საუბრის შემდეგ, როცა საკითხი მოწმის სასამართლოში დაკითხვას ეხებოდა, მარგველაშვილმა პრინციპულობა გამოიჩინა და თქვა, რომ ეს კანონი უნდა ამოქმედებულიყო, სხვა შემთხვევაში, ის პრეზიდენტობიდან გადადგებოდა. როგორც ვნახეთ, მან თავისი ვერ გაიტანა. მუქარა, მუქარად დარჩა. მას შემდეგ პრეზიდენტს იმდენი უფლებები მოუხსნეს, პრეზიდენტობა ფორმალობის ზღვარსაც სცდება, მაგრამ ისიც იგრძნობა, რომ ივანიშვილთან დაპირისპირებიდან გასული დროის შემდეგ, სულაც აღარ ეტყობა რომ უსუსურია და დამოუკიდებელი მოთამაშის შთაბეჭდილებას ტოვებს. რატომ უნდა გადადგეს ასეთ შემთხვევაში? შეიძლება იქნებ მას ისეთი კომპრომატი დაუდეს, რომ წასვლას აიძულებენ? ეს მხოლოდ ვარაუდია და დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ რადგან დაიწყო საუბრები პრეზიდენტის ვადამდე ადრე გადადგომის შესახებ, შესაძლოა, ეს რეალობასთანაც იყოს ახლოს. ამ ნაბიჯს როდის გადადგამს პრეზიდენტი, ან გადადგამს თუ არა, ეს ალბათ დამოკიდებული იქნება შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე.

ისიც ირკვევა, რომ საქართველოს არ ელოდება მშვიდი შემოდგომა, „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით შემოდგომაზე ფართომასშტაბიან აქციას იწყებს. კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი, „ქრისტიან-დემოკრატი“ გიორგი ახვლედიანი აცხადებს, – „კრაზანის ბუდე, ანუ პარლამენტი, ანტისახელმწიფოებრივი ორგანოა. „ერთიანი ოპოზიცია“ ვაპირებთ სექტემბრიდან ძალიან სერიოზული ბრძოლის დაწყებას. მთავარი მიმართულება ვადამდელი არჩევნები იქნება“. ფაქტი ერთია, მოსახლეობის 70%-მა უარი განაცხადა, მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ არჩევნებში. ისინი კმაყოფილი არ არიან არსებული ხელისუფლებით და არც იმ ოპოზიციური ძალით, ვინც დღეს „კრაზანის ბუდის“ დაშლას გვპირდება. ვისი იმედი აქვს და ან საიდან იმართება ეს ოპოზიციური ძალა, ამაზე პოლიტიკოსები და ექსპერტები ბევრს ვარაუდობენ. ერთი რამ ცალსახაა, „ბურჯანაძე – ერთიან ოპოზიციას“ რაც არ უნდა კეთილი სურვილები ამოძრავებდეს, სხვა არასაპარლამენტო პარტიებში არ ჰყავს თანამებრძოლები, რომლებიც ამ ბრძოლაში შეუერთდებიან და საქმეს ბოლომდე მიიყვანენ. წინ 27 ივნისია, საქართველო ხელს აწერს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას. ამ დელეგაციაში პრეზიდენტი „მოტეხილია“, თუმცა ასოცირების ხელმოწერასთან დაკავშირებულ დაგეგმილ კონცერტზე, მოსახლეობას სიტყვით საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი მიმართავენ. ნაკლები შანსია, პრეზიდენტი დათქმულ დღეს სიტყვით არ გამოვიდეს და არ გაიზიაროს სახელმწიფოს სიხარული, თუმცა მის გარშემო შეიმჩნევა კონკრეტულ ძალთა გააქტიურება, რომლებიც არ წარმოადგენენ „ქართულ ოცნებას“. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად დაარწმუნებენ მარგველაშვილს, რომ იფიქროს ახალი პოლიტიკური ძალის შექმნაზე, არ გადადგას დაუფიქრებელი ნაბიჯი და არ დატოვოს პრეზიდენტის პოსტი.

აი, უკვე მერამდენედ გაიჟღერა ბიზნესმენ ლევან ვასაძის გვარმა, რომელსაც პრეზიდენტთან ნათლიმირონობა აკავშირებს. არის ვერსიები, რომ ლევან ვასაძე მარგველაშვილთან ერთად ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას დაიწყებს. დღეს მასზე უკვე ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ტელეკომპანია „იმედს“ ყიდულობს, ეს ინფორმაცია ლევან ვასაძემ კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ ისეთივე სიცრუეა, როგორიც ჩემი პოლიტიკაში შემოსვლაო. ნათქვამია, – არასოდეს თქვა არასოდეს, ვნახოთ, რა მოხდება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე.

**„კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ ხელმძღვანელი ზაალ კასრელიშვილი ამ და სხვა საკითხებზე „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

**— საქართველო ახალ პოლიტიკურ გზაჯვარედინზე დგას, 27 ივნისის შემდეგ ელით თუ არა რადიკალურ ცვლილებებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფლანგზე.**

– ყველას აინტერესებს, რა რეაქცია ექნება რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ჩვენი დასავლური არჩევანის გამო. რა რესურსი აქვს ევროკავშირს, რომ პატარა საქართველო დაიცვას სხვადასხვა მოსალოდნელი საფრთხეებისგან? თუ საქართველოს სერიოზულად დაიცავენ როგორც ფიზიკური, ასევე ეკონომიკური საფრთხეებისგან, თუ საქართველო სერიოზულად ინტეგრირდება საერთაშორისო სტრუქტურებში, მაშინ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „სრულიად აშკარაა, რომ ბაქოში იყო რაღაც გაუგებრობა“



პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ბაქოს აეროპორტში მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა.

„პარლამენტის წევრები ბატონი ჯაფარიძე და ქალბატონი ნადირაშვილი რაიმე მივლინებით არ იმყოფებოდნენ პარლამენტის მხრიდან. ამიტომ მე არც მათი გამგზავრების დეტალები ვიცოდი და არც დაბრუნების. სრულიად აშკარაა, რომ იქ რაღაც გაუგებრობა იყო და ისიც აშკარაა, რომ ჩემი კოლეგებიც, და არამარტო ისინი, შეეცადნენ და მოაგვარეს რაღაც საკითხები, რადგან საქართველოში არიან და აგრძელებენ ჩვეულებრივ მოღვაწეობას. რა იყო ეს პრობლემა, რა მოგვარდა და რა ვერ მოგვარდა, საიდან იყო და როგორ იყო, ამაზე დამატებითი ინფორმაცია არ მაქვს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში თავად პარლამენტის წევრებმა განაცხადეს, რომ ვინმეს დახმარება არ დასჭირდათ, ისე მოაგვარეს რაღაც პრობლემა, რა იყო ეს პრობლემა, ამაზე არის აზრთა სხვადასხვაობა და მე ვერც ვერაფერს გამოვრიცხავ და ვერც ვერაფერს დავადასტურებ, იმიტომ, რომ სხვა ინფორმაცია არ მაქვს. მოქალაქენი თავად არიან შემძლე, რაღაც დაიჯერონ, დაინახონ, და არ დაიჯერონ, მე აქ ვერავის მივეხმარები დამატებითი ინფორმაციითა და არგუმენტებით. მეც მოვისმინე ელჩის განცხადება და ვიცი, რომ ელჩები ასე არ საუბრობენ, თუ რაღაც მინიშნება არ აქვთ“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, ეს თემა თავად აზერბაიჯანის მხრიდან არ იყო შემდგომ განვითარებული და დელიკატური უნდა ვიყოთ, რადგან მსგავს საკითხებში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებია ხოლმე ჩართული. (პირველი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მესტიის აეროპორტთან დაცვის თანამშრომელი მოკლეს

მესტიის აეროპორტის დაცვის თანამშრომლის სავარაუდო მკვლელი მისივე კოლეგაა. მესტიის გამგებლის კახა ჟორჟოლიანის განცხადებით, ტრაგიკული შემთხვევა გამთენიისას მოხდა.

„ჩემი ინფორმაციით, ორივე მათგანი მორიგე იყო, თუმცა შელაპარაკება აეროპორტის შენობის გარეთ მოუვიდათ. ჩხუბის დროს ერთმა მეორეს დანა დაარტყა. სამწუხაროდ, მამაკაცი მიყენებული დაზიანების შედეგად შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მკვლელობის სავარაუდო ჩამდენი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო მოკლული სავსებით ფხიზელ მდგომარეობაში იყო“, – განაცხადა გამგებელმა. (ფრონტნიუსი)


# ლიბერთი ბანკის ახალი სერვისცენტრი საგარეჯოში

ლიბერთი ბანკი ფილიალებისა და სერვისცენტრების ქსელის მოდერნიზებასა და გაფართოებას განაგრძობს. 24 ივნისს, ბანკის დირექტორმა, ზურაბ წულაიამ, საგარეჯოში, აღმაშენებლის ქ. №2-ში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სერვისცენტრი გახსნა, რომელიც სრულ საბანკო მომსახურებას გაუწევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. სერვისცენტრში შესაძლებელი იქნება ყველა სახის სესხის აღება, საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების სისტემებით სარგებლობა, სხვადასხვა ტიპის დეპოზიტების გახსნა, კომუნალური გადასახადების დაფარვა.

ლიბერთი ბანკმა ბოლო 5 წლის 130-ზე მეტი ფილიალისა და სერვისცენტრის მოდერნიზება მოახდინა. ბანკი საქართველოში ყველაზე ვრცელი საბანკო ქსელით არის წარმოდგენილი, რომლის მეშვეობითაც 1.4 მლნ ფიზიკურ და 69 000-ზე მეტ იურიდიულ პირს ემსახურება.

ლიბერთი ბანკის საბაზრო წილი 2014 წლის მაისის მდგომარეობით, მთლიანი აქტივების მიხედვით, 8.0%-ს შეადგენს.



*მეშვიდე გვერდიდან*

კავკასიელი მოსახლეობის უმრავლესობა იგივე გზას აირჩევს.

**— ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა იმას, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი ოფიციალურ დელეგაციაში არ არის და ის არ დაესწრება ბრიუსელში საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. თქვენი ინფორმაციით, რა ხდება პრეზიდენტის თავს?**

– მე არ მაქვს კონკრეტული ინფორმაცია, რატომ არ აღმოჩნდა იგი დელეგაციაში, თუმცა მსმენია საუბარი, რომ შესაძლოა, ის ვადაზე ადრე გადადგეს პრეზიდენტის პოსტიდან. მარგველაშვილი მზამზარეულ გუნდში მივიდა, მას არც პოლიტიკოსისა და რევოლუციონერის წარსული ჰქონია, არც პერსპექტივა, რომ ის ისეთი ფიგურა ყოფილიყო ქართულ პოლიტიკაში, მასზე რომელიმე პარტიას გამოეცხადებინა ნადირობა. მარგველაშვილი იყო ჩვეულებრივი მოლაპარაკე, რომელიც ტელევიზიაში გამოსვლის დროს უმწეო ინტელიგენტის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მას არც მინისტრობაზე ჰქონდა პრეტენზია და არც სხვა მაღალ თანამდებობაზე. ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ მან, ვინც მისი პროტეჟე იყო „ქართულ ოცნებაში“, რომელიც ივანიშვილს უმტკიცებდა, რომ ის იქნებოდა კარგი პრეზიდენტი, რამდენიმე ყოფილი „კაგებეს“ აგენტი ძალიან წარმატებულად დააბინავა „ქართულ ოცნებაში“, რომელთაგანაც ზოგიერთი მინისტრია.

**— ვის გულისხმობთ?**

– თქვენ თვითონ გაარკვიეთ, ჩვენ ეჭვები გვაქვს, ამიტომ ამ პიროვნების დასახელებისგან თავს შევიკავებთ. პრეზიდენტად გახდომის დღიდან მარგველაშვილი შეიცვალა, ის გახდა ამაყი, პრეტენზიული, ის თვისებები გამოამჟღავნა, რასაც მანამდე მალავდა, ვფიქრობთ, რომ მისი სურვილი, არ ეთამაშა გუნდურობის პრინციპით, გარკვეულ ძალებთან იყო შეთანხმებული, რომლებიც არ არიან „ქართული ოცნების“ ლიდერები. დღეს ის დაუცველი დარჩა, იმ გუნდის მხარდაჭერა დაკარგა, რომელმაც ის გააპრეზიდენტა. სულ მალე, ალბათ, ახალი პოლიტიკური გუნდის სასარგებლოდ არჩევანს გააკეთებს.



**„პრეზიდენტად გახდომის დღიდან მარგველაშვილი შეიცვალა, ის გახდა ამაყი, პრეტენზიული, ის თვისებები გამოამჟღავნა, რასაც მანამდე მალავდა, ვფიქრობთ, რომ მისი სურვილი, არ ეთამაშა გუნდურობის პრინციპით, გარკვეულ ძალებთან იყო შეთანხმებული, რომლებიც არ არიან „ქართული ოცნების“ ლიდერები“**

**— ისეთი განცდა გაქვთ, რომ მარგველაშვილი ვადაზე ადრე დატოვებს პრეზიდენტის პოსტს?**

– არ მგონია, აბსოლუტურად უპერსპექტივო ადამიანი, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს პრეზიდენტად გაილვიძა, თავისით გადადგეს პრეზიდენტის პოსტიდან. ვინც მარგველაშვილი გააპრეზიდენტა, ისინი ამას არ დაუშვებენ. სანამ კონფიგურაციები ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი, არა მგონია, მარგველაშვილი პოსტიდან წავიდეს.

აქვე მინდა განვაცხადო, მიხეილ მაჭავარიანის ძმა ვანო მაჭავარიანი, რომელიც 4-5 მოღალატე მინისტრის თემაზე ალაპარაკდა პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან წამოსვლის შემდეგ, თუ ის არ დაასახელებს, კონკრეტულად ვის გულისხმობს მოღალატე მინისტრებში, ჩავთვლით, რომ „ნაცმოძრაობიდან“ მისმა პატრონებმა დაიწყეს ურთიერთგადაკიდების პოლიტიკა. ეს „კინო“ 90-იან წლებში ჩვენ უკვე ვნახეთ, როცა ეროვნული ლიდერები ერთმანეთს გადაჰკიდეს. პარლამენტარებს ერთმანეთი აცემინეს, ქუჩაში გამოიყვანეს და თოფები ასროლინეს. დაახლოებით იგივე პროცესი მიდის, ოღონდ უფრო დახვეწილად, ქვების სროლისა და კარვების გაშლის გარეშე.

**— თუ ამ ლოგიკას გავყვებით, რა პროცესებს უნდა ველოდოთ?**

– ვფიქრობთ, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა სამხრეთ ოსეთში ჩაატარებს რეფერენდუმს, ასევე აფხაზეთში... რეფერენდუმის შედეგებს დაიჭერს ხელში, რომელიც იქნება 70%-ზე მეტი, შეიძლება 90%-იც კი, სადაც დავინახავთ, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მოითხოვს რუსეთთან შეერთებას. ამ რეფერენდუმის შედეგებით, რუსეთის ხელისუფლება პაუზას აიღებს და საქართველოს ხელისუფლებასთან დაიწყებს ვაჭრობას. თუ ჩვენ უარს ვიტყვით ევროპასა და ნატოზე, შევალთ ევრაზიულ კავშირში, რუსეთი გვეტყვის, რომ ამ ტერიტორიებს დაგვითმობს. თუ ჩვენ უარს არ ვიტყვით ჩვენს დასავლურ ღირებულებებზე, რუსეთი აუცილებლად დაიწყებს სამცხე-ჯავახეთში სიტუაციის ესკალაციას, ამას მოჰყვება აუცილებლად რელიგიური უმცირესობების პროტესტი. რუსეთი კავკასიის რეგიონში აუცილებლად შეასრულებს ამრევის როლს, მაქსიმალურად შეეცდება, საქართველოს მშვიდი ცხოვრების საშუალება არ მისცეს იმისთვის, რომ ეკონომიკურად არ გავძლიერდეთ.

**ნინო სამხარაძე**
**599 71-14-22**



CIAN MAGENTA YALLOW BLACK



reklama: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ვინ გასცა პატრიარქის საიდუმლო მის მემკვიდრეზე

**„ალიას“ ესაუბრება გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი, მამა ბასილი მკალავიშვილი:**

**— როგორც ამბობენ, პატრიარქს ახალი ანდერძით სხვა მემკვიდრე დაუსახელებია და მისი ფარული მოწინააღმდეგენი დაშოშმინებულან, აღარ აქტიურობენ მის წინააღმდეგ. რა იცით პატრიარქის ამ ანდერძისა და მემკვიდრის შესახებ?**

– ყველასთვის ცნობილია, რომ ამას წინათ სანამ სინოდის სხდომა გაიმართებოდა, გამოქვეყნდა პატრიარქის განცხადება, რომ ავადმყოფობის გამო აპირებდა გადადგომას. აღვნიშნავ, რომ ლოგიკური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ სინოდის სხდომაზე ყველაფერი შეიცვალა, რადგან თითქმის 4 ჯგუფს ჰყავს თავიანთი კანდიდატურები, ღვთის ნებას არას დაგიდევენ, ყველა პირველობისკენ ილტვის. მოგახსენებთ, რომ პატრიარქი თვით წერს ანდერძს. არა აქვს მნიშვნელობა, შეიძლება არ ავადმყოფობდეს, მაგრამ სხვა მიზეზებით გარდაიცვალოს, ამ შემთხვევისთვის მას უწერია, ვინ უნდა იყოს პატრიარქი, ეს გასაიდუმლოებული რამ არის. მხოლოდ მან იცის, სხვამ არავინ. ჩემთვის გაუგებარია, როგორ გაიგეს, ვინ ეწერა ანდერძში პატრიარქს ან მერე შეცვალა ანდერძიო. ეს მხოლოდ თვით პატრიარქმა იცის, ანდერძი სეიფში დევს და გასაღებიც მას აქვს, პატრიარქის გარდაცვალების შემთხვევაში იხსნება სეიფი და ხდება საჯარო. აი, ერთ-ერთი მაგალითი იმისა, რომ განუკითხაობა სუფევს. იცით, რას გეტყვით? როცა საპატრიარქოში ათი-თორმეტი ეპისკოპოსი მოღვაწეობდა, უფრო მეტი წესრიგი სუფევდა და არა ისე, როგორც დღეს, 50-მდე ეპისკოპოსია. მათ სიმრავლეს არანაირი ფასი არ აქვს.

**— მამაო, ეკლესიის საკითხს აუცილებლად დავუბრუნდებით, მანამდე არჩევნებზე მინდა გკითხოთ, ხალხმა „ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ უარი უთხრა, მაგრამ არასაპარლამენტო ოპოზიციაც მოძულებული ჰყოლია. თითქმის 70% არ მივიდა არჩევნებზე. როგორ გგონიათ, რატომ მოიქცა ასე ამომრჩეველი?**

– მართლაც „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ არჩევნები იყო, სხვადასხვა სახელები ჰქვიათ, თორემ, ფაქტობრივად, ხალხისადმი ზრუნვითა და დამოკიდებულებით იდენტურები არიან. 70 წელს ვარ მიტანებული, ამ ხნის მანძილზე რა არ გამოვცადე, ცხოვრების რთულ გზაზე, რა არ გადავიტანე, ხალხიც მინახავს – უიმედონი, გულგატეხილი, მაგრამ როგორც დღეს არიან ნამდვილად არ მახსოვს. ბიძინა ივანიშვილმა, რომ შეიგნოს შინაგანად, უაღრესად შეჭირვებულმა, 9-წლიან რეჟიმსგამოტარებულმა ხალხმა, მას როგორი ნდობა გამოუცხადა, როგორი იმედით შეჰყურებდა... ეს შეიძლება შევადაროთ მომაკვდავს, რომელსაც ერთი ჭიქა წყალი შველის, ის არ მიაწოდეს და დაიღუპა. აი, ეს იმედი გაუცრუვდათ მათ. ივანიშვილს სიცოცხლის ფასად რომ დასჯდომოდა საზოგადოება ამ შეჭირვებაში არ უნდა მიეტოვებინა, მათ ყოველი იმედი ამოეწურათ. ჩვენი საქმე მაშინ წავიდა ცუდად, როცა ბიძინა ივანიშვილმა გვერდით მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტრები – „რესპუბლიკელები“ დაიყენა. განსაკუთრებით მთავრობისგან ღალატი მაშინ გამოიკვეთა, როცა სისხლისსმსმელ „ნაციონალებს“ გაურიგდა, მათთან კოჰაბიტაციურ მოღვაწეობას შეუდგნენ, მშვენივრად შეეწყვნენ ერთმანეთს და ბოლოს კი დააგვირგვინეს იმით, რომ ერთობლივად ეკლესიის წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა. პრინციპში, არაფერი შეცვლილა, ხალხი ისევ გალატაკებულია, უმუშევარნი, ორი ფენაა ისევ საზოგადოების: უკიდურესად მდიდარნი და უკიდურესად შეჭირვებულნი. 150 ლარი პენსია გადმოგვიგდეს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ჩვენ ეს უნდა ვიმყოფინოთ, მათ კი სამშობლოსა და სარწმუნოების ღალატისთვის 50 000 და 90 000-იანი პრემიები მიიღონ. აი, ბედის ირონია... მე მიკვირს ის 27%-იც როგორ მივიდა არჩევნებზე. ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა – ეს უკვე ბოლო საფეხურია აღვირახსნილობისა.

**— რას გულისხმობთ, მამაო, ანტიდისკრიმინაციულ კანონს?**



*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „არ ვაღიარებთ ოკუპირებულ ტერიტორიებს“



ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჩასატარებელ რეფერენდუმს ეხმიანება და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს:

„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციიდან გამომდინარე, ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის სუვერენიტეტს. ჩვენ არ ვაღიარებთ ოკუპირებული ტერიტორიების რაიმე დამოუკიდებელ სტატუსს. ამდენად, არ ვარ დარწმუნებული, რა შეიძლება, მოჰყვეს ამგვარ გადაწყვეტილებას. ჩვენი ხედვით, მსგავს ჟესტებზე კონცენტრირებას სჯობს, რომ საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრებმა ადამიანებმა ითანამშრომლონ, იმუშაონ იმისთვის, რომ მოხდეს იმ დიდი სიღარიბის შემცირება, რომელსაც ადგილი აქვს საზღვრის ორივე მხარეს“, – განაცხადა ნორლანდმა. (ნიუპოსტი)

## „საღოლ მავნებელ სანიკიძეს“



განათლების ყოფილი მინისტრის დიმიტრი შაშკინის ინფორმაციით, საქართველოში არსებული ფიზიკის ცენტრ **CERN**-ის საზაფხულო სკოლა გაუქმდა. ამის შესახებ შაშკინი „ფეისბუკზე“ წერს.

„საღოლ განათლების სამინისტროს და მავნებელ სანიკიძეს: მსოფლიოს ყველაზე დიდი, მდიდარი და გავლენიანი ფიზიკის ცენტრ **CERN**-ის საზაფხულო სკოლა საქართველოში გააუქმა, სამაგიეროდ, ბავშვები ტულაში რუსული ენის ოლიმპიადაზე წავიდნენ“, – წერს შაშკინი. (ნიუპოსტი)

## 14 ტყვიით ჩაცხრილული ახალგაზრდა ბიზნესმენის შვილია



რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოთავსებული 14 ტყვიით დაჭრილი 24 წლის მამაკაცის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. პაციენტს ოპერაცია ჩაუტარდა და ამჟამად რეანიმაციაში იმყოფება. საავადმყოფოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ახალგაზრდა შოკურ მდგომარეობაშია და მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

არსებული ინფორმაციით, დაჭრილი ერთ-ერთი ბიზნესმენის შვილია. 24 წლის ნ.ნ. ორი დღის წინ, ღამით, წყნეთში დაჭრეს. ურთიერთშელაპარაკებისას მას ცეცხლსასროლი იარაღიდან 14 ტყვია ესროლეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მამუკა კაციტაძე პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს



„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი, მამუკა კაციტაძე აღნიშნავს, რომ ბრძოლა უთანასწორო გარემოში უწევს, თუმცა პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს.

„ჩვენ საკუთარ ბრალეულობასა და სისუსტესაც ვხედავთ. პოლიტიკიდან წასვლას არ ვაპირებ, დამატებითი მოტივაცია მაქვს მიღებული, რომ ქართულ პოლიტიკაში არ გაძლიერდეს პრორუსული სიმპტომები. აქედან გამომდინარე, არ ვაპირებ ბრძოლის შეწყვეტას, არც შვებულებაში გასვლას. შესაძლებელია, ეს ვიღაცისთვის იყოს უმნიშვნელო, თუმცა ვფიქრობ, მე და ჩემნაირები, რა ფასეულობებიც გაგვაჩნია, გავაძლიერებთ პოზიციებს. ვფიქრობ, ჩვენ უფლება არ გვაქვს გავერიდოთ პროცესებს“, – განაცხადა კაციტაძემ. (რეპორტიორი)

## არჩევნების მეორე ტურის თარიღი კანონმდებლობის შესაბამისად გამოცხადდება




ცესკო-ს თავმჯდომარის თამარ ჟვანიას განცხადებით, საარჩევნო ადმინისტრაცია დამოუკიდებელი ორგანოა და მის საქმიანობაზე გავლენას ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ იქონიებს.

„მივმართავთ ყველა საარჩევნო სუბიექტს, რომ მეტი კომპეტენცია და პასუხისმგებლობა გამოიჩინონ საარჩევნო საკითხებზე მსჯელობისას, არ შეაფასონ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა ვიწრო პოლიტიკური მიზნებიდან. ცალსახად განვმარტავთ, რომ არჩევნების მეორე ტურის თარიღი გამოცხადდება კანონმდებლობის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმის მიღებისა და ყველა სასამართლო დავის დასრულების შემდეგ. საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ორგანო, მოქმედებს კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამისად, ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ან განცხადებები ვერ იქონიებს გავლენას მის გადაწყვეტილებებზე“, – განაცხადა თამარ ჟვანიამ.

შეგახსენებთ, გიგი უგულავას განაცხადებით, თუ თარიღი არ დასახელდება, სახეზე იქნება მთავრობასა და ცესკო-ს ხელმძღვანელობას შორის მორიგი გარიგება. (რეპორტიორი)

## მერობის კანდიდატების დებატებს ყველა ტელევიზიის ჟურნალისტი დაესწრება



ვიცე-პრემიერ კახა კალაძის განცხადებით, მერობის კანდიდატებს შორის დებატებზე „ფორმატი იქნება საინტერესო, რადგან ყველა ტელევიზიიდან იქნება მიწვეული ჟურნალისტი და ყველა ტელეკომპანიას ექნება საშუალება, ბატონ მელიასა და ბატონ ნარმანიას დაუსვან სასურველი კითხვები და მათგან ამომწურავი პასუხი მიიღონ“, – განაცხადა კალაძემ. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

– დიახ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ეს არის. 2013 წლის 17 მაისს, როცა თითქმის მთელი თბილისი რუსთაველის პროსპექტზე გავიდა და გაილაშქრა ვიღაც 50-მდე ზნედაცემული, გარყვნილი, გათახსირებული მამათმავლებისა და მათი



**„ბიძინა ივანიშვილმა, რომ შეიგნოს შინაგანად, უაღრესად შეჭირვებულმა, 9 წლიან რეჟიმსგამოტარებულმა ხალხმა, მას როგორი ნდობა გამოუცხადა, როგორი იმედით შეჰყურებდა... ეს შეიძლება შევადაროთ მომაკვდავს, რომელსაც ერთი ჭიქა წყალი შველის, ის არ მიაწოდეს და დაიღუპა. აი, ეს იმედი გაუცრუვდათ მათ“**

დამცველი ქვასროლია ბოკერიას წინააღმდეგ, ეს დღე იყო დასტური იმისა, რომ ქართველი ერი ისევ ქართველობს, თავისი კულტურით, ადათ-წესებით, ზნეობით, ტრადიციებით, ჭეშმარიტი რწმენით. ყოველივე ამის შემდეგ, როგორ გაბედეს სამარცხვინო კანონის მიღება, მისი ამოქმედება, ეს ხომ ერის დეგრადაციაა.

აი, ეს გაგვიკეთა ახალმა მთავრობამ. ქართველი ერი ისეთია, ყველანაირ გასაჭირს აიტანს: შიმშილს, წყურვილს, მატერიალურ შეჭირვებას, მაგრამ მართლმადიდებელ სარწმუნოებას სიცოცხლის ფასად დაიცავს, ვერანაირი ფუფუნება, მატერიალური სიმდიდრე ვერ გადაწონის ჩვენს რწმენას. შეიძლება გაგიჟდეს ადამიანი, ამდენი შინაური გრანტიჭამია მზაკვარი მტრების შემოსევაა, აი, ამიტომ არის ხალხი იმედგაცრუებული.

**— მართლმადიდებლობას ხომ არ ეხებიან? ისინი ხომ ყველას უფლებებს იცავენ?**

– გეთანხმებით, ნამდვილად იცავენ ყველა კონფესიისა და ქართველთმოძულე სექტების უფლებებს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით რა ბრძოლა მიმდინარეობს მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ იელოველთა სექტა შემოგზავნილი იქნა აგენტურული საქმიანობისთვის, რათა გზა განემზადებინა შემდეგი მტრებისთვის. სწორედ სოროსისა და ბჟეზინსკის დაფინანსებით იქნა შემოგზავნილი 50-იანელები, ევანგელისტები, ხსნის არმიისა და სხვა ათასი რჯულის დაჯგუფებები, ბოლოს კი მოაყოლეს, მამათმავლები და ლესბოსელები, ისე გათამამდნენ, ქალაქის ცენტრში მოგვინდომეს გარყვნილების, სიბილწის ჩვენება, ჩვენ კი უნდა დავმდგარიყავით და გვეცქირა, როგორ წაბილწავდნენ იმ წმიდა ადგილს, სადაც 9 აპრილს უმანკოთა სისხლი დაიღვარა. შემოგზავნილი არიან, წარხოცონ ყოველივე ქართული, რადგან საქართველო რუკაზე აღარ იყოს, ის, რაც გაუკეთეს იუგოსლავიას, მოხდეს ჩვენი ასიმილაცია.

როგორ გაგვიბედეს 17 მაისის (მათი საერთაშორისო დღის) დაკანონება საქართველოში? ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ, ისღა დაგვრჩენია ვევედროთ უფალს, შეისმინოს ჩვენი ლოცვა, რამეთუ, თქვენც იცით, რა ნიშანი მოგვცა ამა წლის 17 მაისს დარიალის ხეობაში და სხვა არაბუნებრივი კატაკლიზმებით... მერწმუნეთ, თუ გონს არ მოვეგებით, ღმერთი ისეთ დღეში ჩაგვყრის, სიკვდილი სანატრელი გაგვიხდება.

**— გაქვთ შეხვედრები საპატრიარქოს სასულიერო პირებთან? რა განწყობაა მათში?**

¬– საქართველოს ეკლესიაში მყოფი სასულიერო პირები ბევრი მოდიან ჩემთან, განსაკუთრებით კი მაღალი იერარქიების წარმომადგენლები, ისინი დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ, საპატრიარქოში არსებული სიტუაციის გამო, აცხადებენ, თავს ზემოთ ძალა არ გვაქვსო, პატრიარქის ნებართვის გარეშე, ინტერვიუებსაც კი ვერ ვაძლევთო. ყველა თევდორე მღვდელი ვერ ვიქნებით, აქეთ მამხნევებენ, ისევ შენს თავზე უნდა გადავიდეს ყოველივე, შენ მაინც თქვი სიმართლე, რა განუკითხაობაა საპატრიარქოში თუ მთავრობაშიო. მე ისედაც ვამბობდი სიმართლეს და ვიტყვი ყოველთვის, სანამ პირში სული მიდგას.

**— მამაო, ზოგიერთო სასულიერო პირი თვლის და ქადაგებს კიდეც, ეკლესია სახელმწიფო საქმეებში არ უნდა ერეოდესო...**

– მესმის, უშუალოდ რაიმე საქმეში არ უნდა ჩაერიოს, მაგრამ შე კაი დედმამიშვილო, თუ ხელისუფლება ბოროტად ერევი ეკლესიის საქმეებში, მე ღვთის მსახურს, როცა ვხედავ, რომ უნიათო ხელისუფალი, უფსკრულისკენ მიაქანებს, ქვეყანას, სოდომ-გომორისთვის ამზადებს, ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა, გრანტებზე ყიდის წინაპართა სისხლით მონაპოვარს, გილახავს სარწმუნოებას, ძალად გაჩეჩებენ ჩიპიან პასპორტებს, ხედავ სამშობლო თავზე გექცევა, ამას ვუყურებდე, პირში წყალი ჩავიგუბო და დაველოდო, როდის დაეპატრონებიან შინაური თუ გარეული ეშმაკები ჩემს ქვეყანას და ხმა არ ამოვიღო? ამას არ გვასწავლიან წმიდა მამები, პირიქით, ყოველივე უნდა გავიღოთ ღვთისა და ერის სადარაჯოზე და თუ საჭირო იქნება, მტრები და მოღალატეები ანათემასაც უნდა გადავცეთ.



**„ჩემთვის გაუგებარია, როგორ გაიგეს, ვინ ეწერა ანდერძში პატრიარქს ან მერე შეცვალა ანდერძიო, ეს მხოლოდ თვით პატრიარქმა იცის, ანდერძი სეიფში დევს და გასაღებიც მას აქვს, პატრიარქის გარდაცვალების შემთხვევაში იხსნება სეიფი და ხდება საჯარო“**

**— მამაო, სამრეკლოს მოპირკეთებას ამთავრებთ თითქმის, გაფინანსებთ ვინმე?**

– წარმოიდგინეთ, რასაც ვაკეთებთ ჩვენი მრევლის მცირედი შემოწირულობით, ჩვენივე მორჩილების მეშვეობით. ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით, ვისაც გული შესტკივა სამშობლოზე, ჩვენს ეკლესიაზე, იქნებ მცირეოდენი თანხით ან ცემენტით დაგვეხმაროთ, რამეთუ ეს გრანდიოზული ტაძარი თავისი დამშვენებული ეზოთი და შემოგარენით უდიდესი სამონასტრო კომპლექსი იქნება, რომელიც რჩება ახალგაზრდობას, მომავალ თაობას.

**— არაერთი მოძღვრისგან მომისმენია, რომ ახლა ყველაზე მთავარი ეკლესიის განწმენდაა, ისე, არაფერი გვეშველებაო. რა ფორმით უნდა მოხდეს ეს?**

– რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოიწვიონ რუის-ურბნისის მსგავსი კრება, რომელიც განწმენდს საქართველოს ეკლესიას ულირსთაგან. სჯობს იყოს 5 ეპისკოპოსი ჭეშმარიტი, ვიდრე 50 უვარგისი. პირველ რიგში, ეკლესია უნდა მოწესრიგდეს, რათა მთავრობას არ ჰქონდეს სალაპარაკო კომპრომატებით, პირიქით ეკლესია უნდა აჩვენებდეს გზას ერს, ის უნდა იყოს ყოველივე გაჭირვების ტალკვესი, ამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ განწმენდილი ეკლესიაა. ვუსურვებდი პატრიარქს, მთავრობასთან ერთად, მოიწვიონ ეს კრება და ჩაიწეროს ეკლესიის ისტორიის სტრიქონები, რომ საქართველოს ეკლესია განწმენდილია ყოველგვარი მწიკულისაგან.

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## ვის მოსდის აზრად საარჩევნო ოქმში „ჩალიჩი“?

საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით აცხადებს:

„არჩევნების შედეგი იმდენად შთამბეჭდავია ყველასთვის დედამიწის ზურგზე, გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“ და ნინო ბურჯანაძისა, ანუ ორი ადამიანია უკმაყოფილო – მიხეილ სააკაშვილი და ნინო ბურჯანაძე. ყველა სხვა დანარჩენი კმაყოფილია და მიხვდა, რა მოხდა საქართველოში.

ყველა მიხვდა, რომ სახელისუფლებო კანდიდატი 49.8 მეათედ პროცენტს იღებს. ასეთია თელავში ჩვენი მერობის კანდიდატის შედეგი, ის მეორე ტურზე მიდის, არავის აზრად არ მოსდის თავში, რომ 0.2 მეათედი პროცენტი მიაყალბოს, ოქმში პატარა რაღაც „იჩალიჩოს“, აქ თემა დახურულია“, – განაცხადა ხიდაშელმა. (ნიუპოსტი)

## „ექვსი თვის გეგმის შესრულებას 40 მლნ ლარი სჭირდება“

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური საგადასახადო შემოსავლების მობილიზების კუთხით ბიუჯეტში პრობლემების არსებობასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს:



„საგადასახადო შემოსავლების გეგმა სრულდება და არანაირი შეფერხება არ არის. ექვსი თვის გეგმის შესრულებას დარჩენილ დღეებში 40 მლნ ლარი სჭირდება. ჩვენ გადავაჭარბებთ ივნისისა და მთლიანად, ექვსი თვის საშემოსავლო გეგმას“, – განაცხადა მინისტრმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## ყირიმს რუსეთმა შეიძლება მიაყოლოს სამხრეთ ოსეთიც და აფხაზეთიც

ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე მიიჩნევს, რომ ანატოლი ბიბილოვის განცხადება რეფერენდუმთან დაკავშირებით, ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს ხელისუფლების გაფრთხილებას ისახავს მიზნად.

„რუსეთი ასე ადვილად არ შეეგუება ჩვენს ევროპასთან დაახლოებას, საუბარი აღარაა ნატოზე. იქნება უამრავი პროვოკაცია და დაშინების მცდელობა. ბოლო ნაბიჯი შეიძლება იყოს ტერიტორიის დე ფაქტო და იურიდიულ ანექსია. ჩვენი მხრიდან უნდა გააქტიურდეს მუშაობა დასავლელ პარტნიორებთან. უნდა ვთქვათ, რომ ყირიმი რომ წაიღო რუსეთმა, შეიძლება მიაყოლოს სამხრეთ ოსეთიც და შემდეგ – აფხაზეთიც. ეს უნდა ვილაპარაკოთ ხმამაღლა. ჩვენ დიპლომატიური მხარდაჭერის გარდა სხვა რესურსი არ გვაქვს“, – განაცხადა შარაშენიძემ.

ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდება.

დე ფაქტო პარლამენტის სპიკერის ანატოლი ბიბილოვის თქმით, რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხს რეფერენდუმზე გაიტანენ. (ნიუპოსტი)

## თბილისში ჰაერის დამაბინძურებლების გამზომი ფილტრები დამონტაჟდა.



ფილტრების მონტაჟის ორგანიზატორი გარემოს დაცვის სამინისტრო და კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელია.

ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით 7 ქვეყანაში რეგიონალური პროექტი „ჰაერის ხარისხის მართვა ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტის აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებში“ მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში შეძენილია ჰაერში სხვადასხვა დამაბინძურებლების (**NO2**, **SO2**, ბენზოლი და მიწისპირა ოზონი) კონცენტრაციის გამზომი ერთჯერადი ფილტრები, რომლებიც საქართველოს მასშტაბით (თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი, ჭიათურა, ზესტაფონი და ფოთი) 100 წერტილში განთავსდება. თბილისისთვის კი შერჩეულია 36 წერტილი. გარკვეული პერიოდის შემდეგ ფილტრები შეგროვდება, კონტეინერებში განთავსდება და შესაბამისი პირობების დაცვით დიდ ბრიტანეთში ლაბორატორიული ანალიზის ჩასატარებლად გაიგზავნება. (ნიუპოსტი)

**„ალიას“ ესაუბრება ადვოკატი მამუკა ნოზაძე:**

– ვანო წიკლაური თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი, მაია ბაქრაძე და თამაზ ურთმელიძე არიან სუბიექტური, ტენდენციური მოსამართლეები. ესენი არიან ის მოსამართლეები, რომლებიც ემსახურებოდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“. ისეთი საქმეები, რომლებიც იყო მორალური ზიანის ბასთან დაკავშირებით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა აქვს უფლება, გადაწყვეტილება გამოიტანოს პირადი შეხედულებისამებრ. მისი შინაგანი შეხედულება უნდა გამოდიოდეს კანონის ნორმებიდან გამომდინარე.

**— არ ფიქრობთ, რომ ჩვენს შემთხვევაში ადგილი აქვს შურისძიებას, რადგან „ალია“ და „ქრონიკა“ არა მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ ამაზრზენ საქმიანობაზე წერდა, არამედ ჯალათ მოსამართლეე-** „ალია“ და „ქრონიკა“ მუდმივად ახმოვანებენ რესპონდენტების საშუალებით ინფორმაციას სასამართლო სისტემაში არსებული დარღვევების შესახებ, თქვენი გაზეთის ფურცლებზე ხშირად წამიკითხავს ექსპერტების, იურისტების თუ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრთა მხრიდან გამოთქმული კრიტიკა მოსამართლეებზე, კონკრეტული ფაქტები, ამა თუ იმ მოსამართრიგი დარღვევები. თქვენ ამხელდით კონკრეტულ მოსამართლეებს, იწერებოდა კონკრეტული გვარები და სახელები. ამიტომ, იმ განცხადებების ქვეტექსტებიდან, რომელიც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და მოსამართლეთა ასოციაციამ გაავრცელა, იგრძნობოდა მოწოდება, რომ ნუ გააკრიტიკებთ სასამართლოს. რაკი თქვენ მათ მოწოდებას არ დაემორჩილეთ და მაინც აგრძელებდით მხზე. კორუმპირებულობა იმას არ ნიშნავს, რომ ფული აიღო, ჩემი აზრით, უფრო კორუმპირებულია მოსამართლე, რომელიც უკანონო გადაწყვეტილებას იღებს. სწორედ ეს შედეგი დადგა თქვენთანაც, რაკილა თქვენ არ მოეშვით სიმართლის წერას და არ გაითვალისწინეთ მათი შენიშვნა. ამ შემთხვევაში, მთელი სასამართლო სისტემა ერთიანდება თქვენს წინააღმდეგ და ხართ

# ადვოკატი მამუკა ნოზაძე: „კორუმპირებულობა იმას არ ნიშნავს, რომ ფული აიღო, უფრო კორუმპირებულია მოსამართლე, რომელიც უკანონო გადაწყვეტილებას იღებს“

ანაზღაურებაზე, მთელი ამ წლების განმავლობაში იყო ტენდენციური. ასეთივეა „ალია ჰოლდინგის“ წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებაც, ასეთი საქმეები ბევრჯერ განუხილავთ ზემოხსენებულ მოსამართლეებს. მაშინ ისეთი აზრი დაუფიქსირებიათ, რომელიც მეორე მხარისთვის იყო მისაღები, ანუ მეორე მხარე იყო ის, ვინც ხელისუფლებას აინტერესებდა. რასაც ხელისუფლება მიუთითებდა, იმ გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ.

**— შეგიძლიათ კონკრეტული ფაქტები დაგვისახელოთ?**

– საქმე იყო განხილული ზაქარია ქუცნაშვილისა და ერთ-ერთი უცხოეთის მოქალაქის მორალურ ზიანთან დაკავშირებით და იქ პირდაპირ დაწერეს მოსამართლეებმა გადაწყვეტილებაში, რომ ზაქარია ქუცნაშვილის მიერ გამოთქმული აზრი იყო პირადი აზრი და ადგილი არ ჰქონია შეურაცხყოფას. მე ამ ფაქტით ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ მოსამართლეებს როგორიც უნდათ, როგორიც თვითონ აწყობთ, ისეთი გადაწყვეტილებები გამოაქვთ. მოსამართლეს აქვს უფლება, შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ მტკიცებულე-



**„როდესაც ხდება ტენდენციური გადაწყვეტილების გამოტანა, ლეგიტიმური უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს, გააკრიტიკოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ჟურნალისტების შემთხვევაში კი ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა“**

**ბზეც, რომლებიც უკანონო გადაწყვეტილებაში იყვნენ მხილებულნი.**

– სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა, ეს არის მასმედიის წინააღმდეგ ბრძოლა, შურისძიების მოტივით. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და მოსამართლეთა ასოციაციამ, რომელთა წევრებიც არიან თქვენ მიერ ჩამოთვლილი მოსამართლეები, არაერთხელ გაავრცელა განცხადება, რომ არ შეეხოთ მოსამართლეებს, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეაფასოთ და ასე შემდეგ... ლის მიერ გამოტანილი უკანონო გადაწყვეტილების შესახებ. ხშირად ყოფილა ასევე გაჟღერებული, რომ სწორედ სასამართლო ხელისუფლების ტენდენციურობამ და სუბიექტურობამ გამოიწვია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხება. ამ ინფორმაციების მუდმივი გაჟღერების შემდეგ უკვე გაჩნდა ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მიერ დადებული დასკვნები, სადაც საუბარი იყო, რომ მიკერძოებულია ქართული სასამართლო სისტემა და არის მთელი ილებას კონკრეტული მოსამართლეებისა, ამიტომ იყო ამგვარი გადაწყვეტილება გამოტანილი თქვენი გაზეთის წინააღმდეგ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამგვარი მითითება და მოწოდება, რომ ნუ გააკრიტიკებთ სასამართლო სისტემას, არის დანაშაული. მოსამართლეები სასამართლო სისტემას არ უნდა ამოეფარონ, იმას, რომ მათ კანონით აქვთ დამოუკიდებლობა გარანტირებული. არც კონსტიტუციაში და არც საერთაშორისო სამართლებრივ აქტში არ წერია, რომ მოსამართლის ან სასამართლო სისტემის კრიტიკა დაუშვებელია. როდესაც ხდება ტენდენციური გადაწყვეტილების გამოტანა, ლეგიტიმური უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს, გააკრიტიკოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ჟურნალისტების შემთხვევაში კი ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა. თქვენი დანიშნულება და ვალდებულება სწორედ ის არის, რომ ამხილოთ უსამართლო მოსამართლეები. „ალიამ“ და „ქრონიკამ“ არ შეცვალა აღებული კურსი და განაგრძო მხილება კონკრეტული მოსამართლეებისა, სწორედ ამიტომ იძიეს შური თქვენდაუცველები. ასეთი მეთოდებით ბრძოლა, რომ პრესა აშანტაჟო მუქარის შემცველი ტექსტების გავრცელებით და ამავე დროს დააკისრო სოლიდური ფინანსური სანქციაც, ეს არის თავისუფალი სიტყვის ჩახშობა.

**— საზოგადოება უკვე სახეზე იცნობს იმ მოსამართლეებს, რომლებიც შემჩნეული არიან უკანონო გადაწყვეტილების მიღებაში, მაგრამ საზოგადოებას არ გააჩნია ბერკეტი, რომ ვითარება შეცვალოს. სხვა გამოსავალი არსებობს?**

– საზოგადოებას აქვს ძალიან კარგი ბერკეტი, არსებობენ სამოქალაქო საზოგადოებაში აქტიური ადამიანები, მათ შორის სამოქალაქო სექტორშიც, რომლებიც იბრძვიან არა მხოლოდ თავიანთი უფლებებისთვის, არამედ თანამოქალაქეთა უფლებებისთვისაც. თუმცა საქართველოში მასიურად არ არის ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც იქნება ანგარიშგასაწევი ძალა. გარდა ამისა, საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი უკანონობაზე თვალს ხუჭავს იმ მოტივით, რომ კონკრეტული უსამართლობა ან უკანონობა მას არ ეხება. თუკი ამ მიდგომას შევცვლით,

გაგრძელება მე-12 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...




## „ქართული ოცნება“ ქუჩაში გამოკრულ განცხადებებთან კავშირს უარყოფს

აღნიშნულთან დაკავშირებით „ქართული ოცნება“ განცხადებას ავრცელებს:

„საბურთალოს რაიონის ქუჩებში გამოჩნდა „ქართული ოცნების“ სახელით გაკრული განცხადება, რომლითაც თითქოსდა „ქართული ოცნება“ მსურველებს სთავაზობს, სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაციის საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდნენ განცხადებაში მითითებულ ნომრებზე. განცხადებაში არ არის დაკონკრეტებული, რა ტიპის დახმარებას სთავაზობენ მსურველებს. აღნიშნულთან დაკავშირებით გვსურს განვაცხადოთ, რომ „ქართული ოცნება“ მითითებულ განცხადებასთან არავითარ კავშირში არ არის. სავარაუდოდ, მსგავსი იაფფასიანი ხრიკებით, არჩევნების მეორე ტურის წინ ვიღაცას მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა და „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია სურს. მივმართავთ მოქალაქეებს, ქალაქის ქუჩებში მსგავსი განცხადების ნახვის შემთხვევაში, დაუკავშირდნენ კოალიცია „ქართული ოცნების“ რაიონულ შტაბებს. მოვუწოდებთ შესაბამის ორგანოებს, შეისწავლონ აღნიშნული განცხადების წარმომავლობა“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## ბაღდადში დაკავებული ქართველები დახმარებას ითხოვენ



ერაყის საემიგრაციო სამსახურის მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქეები დახმარებას ითხოვენ. უკვე სამი კვირაა, რაც ისინი ბაღდადის პოლიციაში იმყოფებიან. მათ საემიგრაციო სამსახური სავიზო დოკუმენტაციის დარღვევას ედავება. დაკავებული ქართველების ოჯახები საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით მიმართავენ, რომ ჩაერიონ და სთხოვონ საქართველოს დიპლომატიურ მისიას, ადგილზე გაერკვნენ ვითარებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „წიკლაურის ცემის საქმეში პროგრესი არის, მაგრამ არა გადამწყვეტი“



პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის ცემის საქმის გამოძიებაში პროგრესია.

„დაახლოებით 10 დღის წინ მე კიდევ ერთხელ დავინტერესდი ამ საქმით. მე რეგულარულად ვინტერესდები. პროგრესი არის, მაგრამ არა გადამწყვეტი. ანუ ვერ ვიტყვი იმას, რომ ცოტაღა დარჩა საქმის გახსნამდე, თუმცა როგორც ვიცი, გარკვეული პროგრესი არის. მე რაიმე დამატებით იმედს, დაყრდნობილს რაიმე ინფორმაციაზე, ვერ გეუბნებით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს, როგორც ყველა სხვა საქმე, გაიხსნება“, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ფრონტნიუსი)



## მინისტრის მოადგილის შემოსავალი 2013 წელს 99 480 ლარია

არასამთავრობო ორგანიზაცია **IDFI** შს მინისტრისა და სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული შემოსავლების შესახებ მონაცემებს აქვეყნებს.

„2014 წელს საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე განთავსებული ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციებს შორის ვხვდებით მინისტრის მოადგილის დავით ლეჟავას დეკლარაციას, საიდანაც ირკვევა, რომ 2013 წელს მისი სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი შეადგენს 99 480 ლარს. ვინაიდან მინისტრის მოადგილის ყოველწლიური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 32 640 ლარს (თვეში 2720 ლარი), შესაბამისად, დანარჩენი 66 840 ლარი მიღებულია პრემიის ან/და სახელფასო დანამატის სახით. მინისტრის მოადგილის მსგავსად ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტების უფროსების უმრავლესობას 2013 წელს პრემიისა ან/და სახელფასო დანამატის სახით მიღებული აქვთ თანამდებობრივი სარგოს დაახლოებით ორმაგი ოდენობა“, – აღნიშნულია ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში. (პირველი რადიო)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

ვნახავთ, რომ ძალიან ბევრი რამ შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას. თუმცა რეალური ბერკეტი მაინც არის არჩევნები, თანაც უნდა მივიდეს ხალხი და აირჩიოს ისეთი ხელისუფლება, რომელიც გაატარებს ნორმალურ სასამართლო რეფორმას და არა ისეთს, როგორიც „ქართულმა ოცნებამ“, შესაკრები რომ გადაანაცვლა, თუმცა ჯამი არ შეცვლილა.

**— ვხედავთ, რომ ხელისუფლება არაფერს აკეთებს სისტემის შესაცვლელად, უცხოური ავტორიტეტული ორგანიზაციების ჩარევითაც არაფერი გამოვა?**

– ეს არის ერთ-ერთი ბერკეტი იმისა, რომ საზოგადოებამ ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად აიღოს ინიციატივა საკუთარ თავზე სისტემის გაჯანსაღების და გამოსწორების მიზნით. ეს უნდა გააკეთონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა. მათ ყველა უკანონო გადაწყვეტილების შესახებ, ყველა იმ მოსამართლის შესახებ, რომელთა მიმართაც არსებობს კითხვის ნიშნები და დღესაც სისტემაში მუშაობს, ინფორმაცია უნდა მიაწოდონ საერთაშორისო ორგანიზაციებს. გარდა ამისა, უნდა მოხდეს პრესის საშუალებით მუდმივი პრესინგი სასამართლო სისტემაზე, მუდმივად ინფორმაციის გავრცელება უკანონო და უსამართლო მოსამართლეების შესახებ და საბოლოო ჯამში ეს ნამდვილად გამოიღებს შედეგს. დღეს „ალია“ მსხვერპლია უსამართლო მოსამართლეთა გადაწყვეტილების, მაგრამ ხვალ სხვა მედიასაშუალება იქნება, ზეგ ადამიანთა ჯგუფი და ა.შ. ფაქტია, რომ სასამართლო პრესას აზრის გამოხატვას უკრძალავს, ეს კი ნამდვილად შემაშფოთებელია. ყველას უნდა გავაგებინოთ, რომ მოსამართლეები ბოროტად იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას, ევროკავშირს, ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ავტორიტეტულ ორგანიზაციებს უნდა მივაწვდინოთ ხმა და უნდა გავაგებინოთ, ილუზიაა, თითქოს საქართველოში მართლმსაჯულება არსებობს და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა გვაქვს. გარდა ამისა, ის მოსამართლეები, რომლებიც მხილებული არიან უკანონო გადაწყვეტილებებში, პერსონა ნონ გრატად უნდა გამოაცხადონ ევროპის ყველა ქვეყანაში, თუკი იქნება მსგავსი პრეცედენტი, მერწმუნეთ, ვერც ერთი მოსამართლე ველარ გაბედავს თავხედური, უკანონო გადაწყვეტილების მიღებას.



მაია ბაქრაძე



ვანო წიკლაური



თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი



თამაზ ურთმელიძე

**„ამგვარი მითითება და მოწოდება, რომ ნუ გააკრიტიკებთ სასამართლო სისტემას, არის დანაშაული. მოსამართლეები სასამართლო სისტემას არ უნდა ამოეფარონ, იმას, რომ მათ კანონით აქვთ დამოუკიდებლობა გარანტირებული. არც კონსტიტუციაში და არც საერთაშორისო სამართლებრივ აქტში არ წერია, რომ მოსამართლის ან სასამართლო სისტემის კრიტიკა დაუშვებელია“**

**— ამ კუთხით გააქტიურებას თუ ელოდებით სამოქალაქო საზოგადოებისგან და სამოქალაქო სექტორისგან? საუბარი კარგია, მაგრამ რეალური ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო.**

– აუცილებლად გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები, მე მაგალითად მაქვს ინფორმაციები ქუთაისის სასამართლოში არსებული დარღვევების შესახებ, იქ ხდება კატასტროფა და როგორც მიმიწვდება ხელი და რაზეც მიმიწვდება, ყველგან ვავრცელებ ამ ინფორმაციას, იგივე, თქვენი საშუალებით. ნებისმიერმა არასამთავრობო ორგანიზაციამ თავგასული მოსამართლეების შესახებ უნდა გაავრცელონ ინფორმაცია, უნდა იყოჩალოთ თქვენც, პრესამაც, რადგანაც ფაქტებით გამყარებული ინფორმაციების გასაჯაროება შემდეგში შედეგს გამოიღებს. დამერწმუნეთ, მუდმივი პრესინგი პრესის საშუალებით და მუდმივი შიში იმისა, რომ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებში შევიდეს ინფორმაცია მათი უკანონო გადაწყვეტილების შესახებ, იქნება ერთ-ერთი შემაკავებელი ფაქტორი იმისა, რომ არ მიიღონ უკანონო გადაწყვეტილება.

**შორენა გოგოლაძე**
**599 22 75 27**

# რა საფრთხეებს შეიცავს საქართველო-სომხეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულება?

**პარტია „რეფორმატორების“ ლიდერი, ირაკლი ღლონტი საქართველოსა და სომხეთის მთავრობებს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ გაფორმებულ შეთანხმებას ეხმაურება. „სომხეთი, დსთ-ს ქვეყნებთან ერთად იმყოფება ე.წ. კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციაში, რომლის წევრიც გახლავთ რუსეთი. ეს ფაქტი, თავის მხრივ მიმყარებს საფუძველს, რომ ეჭვის თვალით შევხედო ახალ შეთანხმებას. თუ შეთანხმება მოიცავს თანამშრომლობას და ინფორმაციების გაცვლას თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სფეროებში, ეს ხელშეკრულება, ცალსახად წარმოადგენს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ აქტს. იგი ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების კონცეფციას, სადაც ნათლად არის დეკლარირებული საქართველოს პრიორიტეტები უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში. მოვითხოვ ხელისუფლებისგან, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა პირებმა დაუყოვნებლივ გააკეთონ განცხადებები, შეიცავს თუ არა ხელშეკრულება თავდაცვისა და ეროვნულ უსაფრთხოების სფეროებში თანამშრობლობას“.**

„ალიას“ **ირაკლი ღლონტი** ესაუბრა:

**— ბატონო ირაკლი, რა ინფორმაციებზე შეიძლება იყოს საუბარი, რაც საფრთხეს შეიცავს?**

– ყველა ქვეყანას ჰყავს დაზვერვის სამსახური, რომელიც მუშაობს ყველა ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, საიდუმლო ინფორმაცია არის ძირითადად ჩვენი აგენტების ინფორმაცია. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა საიდუმლო, რასაც ჩვენ მოვიპოვებთ და ეხება სომხეთს, ავტომატურ რეჟიმში გადავცემთ მას, ეს ნიშნავს იმას, რომ გადავცემთ რუსეთს, იმიტომ რომ რუსეთი არის სამხედრო ალიანსში. ამგვარი ხელშეკრულება ჩვენ გვაქვს დადებული, მათ შორის ნატო-ს წევრ რამდენიმე ქვეყანასთან. აქედან გამომდინარე, ეჭვქვეშ დგება, ნატოს წევრმა ქვეყნებმა, რომელთანაც ეს ხელშეკრულებები გვაქვს, გააგრძელონ თუ არა მსგავსი ინფორმაციის მოწოდება, იმიტომ, რომ მათი აგენტურული ქსელიც დადგება საფრთხის ქვეშ.

რუსეთის სამხედრო დოქტრინის მიხედვით, მისი პოტენციური სამხედრო საფრთხეები მომდინარეობს ნატოსა და მასთან კავშირში მყოფი ქვეყნებიდან. ამას რუსეთის ხელისუფლება არც მალავს და საჯაროდ აცხადებს, ანუ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მისი სამხედრო პარტნიორები მოიპოვებენ, ეხება სწორედ მათ მთავარ მოწინააღმდეგეს – ნატოსა და მასში გაწევრიანებულ ან მის პარტნიორ ქვეყნებს. საქართველო არის ნატოს პარტნიორი ქვეყანა და განაცხადი გაკეთებული აქვს ნატო-ში წევრობაზე. ჩვენ გაფორმებული გვაქვს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი სამხედრო თანამშრომლობაც არის. რეალურად, ამ ვითარებაში, საქართველო ცდილობდა, ცდილობს და უნდა ცდილობდეს ინფორმაციის გაცვლას თავის სტრატეგიულ მოკავშირეებთან. თუნდაც ის ფაქტი, რომ სომხეთი დსთ-ს ქვეყნებთან ერთად იმყოფება ე.წ. „კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციაში“, ზემოაღნიშნული ხელშეკრულება მომეტებული საფრთხის მატარებლად მიმაჩნია.

**— თუ ოფიციალურად ამ კითხვებით საგარეო უწყებას არ მიმართეთ?**



– ჯერ საჯარო მოწოდება გავაკეთე, მაგრამ ვაპირებ ოფიციალური წერილითაც მივმართო.

**საგარეო უწყებისგან გვაინტერესებდა, კონკრეტულად რას ეხება საქართველო-სომხეთის შეთანხმება; ხომ არ შეგვიქმნის ის პრობლემებს დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობაში; ხომ არ ეწინააღმდეგება საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციას?**

**ვეცადეთ პრესსამსახურთან დაკავშირება, მაგრამ არც მარი ნარჩემაშვილმა და არც ბელა გომურაშვილმა ზარებს არ უპასუხეს, პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ირაკლი ვეკუასთანაც ვცადეთ დაკავშირება და შეტყობინება გავუგზავნეთ: „ბატონო ირაკლი, „ალიადან“ გიკავშირდებით, სომხეთ-საქართველოს მთავრობებს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის თაობაზე არსებულ ხელშეკრულებაზე გვსურდა ინფორმაციის დაზუსტება“. თუმცა პასუხი ვერ მივიღეთ.**

**საგარეო საქმეთა სამინისტროს მისაღების მეშვეობითაც ვცადეთ კითხვაზე პასუხისგამცემი პირის მოძებნა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. სავარაუდოდ, ამ ეტაპზე პრესსამსახური ბრიუსელში უნდა იმყოფებოდეს.**

**ჟანა ასანიძე**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სააკაშვილი პუტინის მიზნებზე საუბრობს



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსა და საქართველოში წარსულში განვითარებულ სცენარს შორის პარალელებს ავლებს. ამის შესახებ სააკაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს:

„მაშინ შევარდნაძემ დაზავების შესახებ 3 შეთანხმებას მოაწერა ხელი და ყველა ჯერზე რუსეთი ამას ძალების გადაჯგუფებისა და ახალი ტერიტორიების მისატაცებლად იყენებდა. დაზავების შესახებ განცხადებით პუტინმა, სავარაუდოდ, სამი მიზანი დაისახა: პირველი – თავიდან აიცილოს დასავლეთის სანქციები, მეორე – პუტინმა მოახერხა ახალი სუბიექტის შექმნა ბანდიტების სახით, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მომავალში კონფლიქტს დაერქმევა კონფლიქტი უკრაინასა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკას შორის და არა კონფლიქტი რუსეთსა და უკრაინას შორის, და მესამე – შეეცდება უკრაინის ხელისუფლების ყურადღება მოადუნოს, ფარულად გააძლიეროს ბანდიტები გადამწყვეტი დარტყმისთვის და დონეცკსა და ლუგანსკიდან უკრაინული ჯარის გამოძევებისთვის“, – აცხადებს სააკაშვილი. (ნიუპოსტი)

## სკოლებში მოსწავლის ჩასარიცხად დოკუმენტების მიღება დაიწყო



საჯარო სკოლებში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება დაიწყო. განათლების სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დოკუმენტაციების წარდგენა 23 ივნისს დაიწყო და წარდგენის ბოლო ვადა 2014 წლის 4 ივლისია.

სამინისტრო პირველ კლასში დარეგისტრირებულ მოსწავლეთა მშობლებს მოუწოდებს, რომ მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენა 4 ივლისამდე უზრუნველყონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგისტრაცია გაუქმებული იქნება. მათივე ინფორმაციით, პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის პროცესი 2014 წლის 20 ივნისს დასრულდა. საჯარო და კერძო სკოლებში სულ 45 421 მოსწავლეა რეგისტრირებული. (ნიუპოსტი)

## თამარ ივერი: „ავსტრალიის თეატრი თავად დავტოვე, ხოლო ბელგიის თეატრთან კონტრაქტი არც მქონია“



ქართველი სოპრანოს თამარ ივერის განმარტებით, მან ავსტრალიის თეატრი თავად დატოვა, ხოლო ბელგიის თეატრთან კონტრაქტი არც ჰქონია.

ამის შესახებ ივერმა საზოგადოებრივ მაუწყებელს მის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის კომენტირებისას განუცხადა.

„თავად მივედი თეატრის ხელმძღვანელობასთან და ვუთხარი, რომ არ მინდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო და ვიდრე ამ ამბის გამოძიებას და ხალხთან საუბარს და საერთოს გამონახვას მოვახერხებ, მინდა, ეს გადაწყვეტილება მივიღო-მეთქი, რადგან არ მინდოდა, კარზე მომდგარ პრემიერას პრობლემები შეჰქმნოდა. თავიდან ეს გადაწყვეტილება თეატრისთვის მტკივნეული იყო, თუმცა გვერდით დამიდგნენ ყველანაირად. რაც შეეხება ინფორმაციას, რომ ბელგიის თეატრმა შემიჩერა კონტრაქტი, ეს მცდარი ინფორმაციაა, რადგან ბელგიის თეატრთან არანაირი კონტრაქტი არ მაქვს“, – განაცხადა ივერმა.

*frontnews.ge*

## რას ამბობს თინა მახარაძე ღმერთზე




მსახიობი თინა მახარაძე „ფეისბუკზე“ მორიგ პოსტს აქვეყნებს.

„იმ დღეს რაღაცაზე ვამბობ: „ღმერთო, ასე და ასე თუ მოხდა, მაგრად გაასწორებს-მეთქი“ და უცებ ერთი ძაან „აიტ, შე პატარა ულმერთო“ ღიმილიანი სახით მეუბნება: „კაიი ტოო, ღმერთს თხოვ თუ იმას... ჰი ჰი“...

ვახ-მეთქი, მერე დავფიქრდი, რა სასაცილო იქნება, ღმერთი რომ ბრაზდებოდეს: „უფროს-უმცროსის პატივისცემა არ იცის ამ შობელძაღლმა, ჟარგონი ვის გაუბედა“.

ტაქსიში სიგარეტს რომ ვეწევი და ვთქვათ, რამე საშიშზე გამეფიქრა და მეორე ხელით პირჯვარს გადავიწერ, მძღოლი წყობიდან გამოდის და მანქანაში დამწვარი კალოტკების (სამუხრუჭე ხუნდების – ვიცი) სუნი დგება. ღმერთს ეწყინა და ამან დამასტა, ეგრე ჰგონია, ალბათ.

ძაან ცუდი წარმოდგენა გაქვთ ღმერთზე. ეგეთი ბუტია მეგობარი არ მინდა, ღმერთი მით უმეტეს“, – წერს მახარაძე.

*newposts.ge*

## სალომე ტეტიაშვილი მამის – ბიძინა ივანიშვილის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ გააბრაზა



„X ფაქტორის“ მონაწილე სალომე ტეტიაშვილი, სულ უფრო ხშირად ხვდება პრესისა და ინტერნეტსაიტების გვერდებზე. მართალია, გოგონა პოპულარული „იუთუბიზე“ გამოქვეყნებული ოჯახური ვიდეოთი გახდა, სადაც სალომე მეგობრებთან ერთად მღერის, თუმცა მის პოპულარობას ხელი პირადმა ისტორიამაც შეუწყო.

სალომე დედამ გაზარდა და მამა პირველად ოთხი წლის ასაკში ნახა, ისიც მცირე ხნით. ამ თემაზე საუბარს თავს არიდებს, მაგრამ ცნობილია, რომ მამას მეორე ოჯახი ჰყავს და სალომეს ცხოვრებაში არც მისი პოპულარობის შემდეგ გამოჩენილა.

ორი დღის წინ ინტერნეტსივრცეში სალომეს წარსულიდან კიდევ ერთი ფაქტი გახდა ცნობილი. როგორც აღმოჩნდა, მომღერლის მამა საგარეჯოში ცხოვრობს და მისი სახელი და გვარი – ბიძინა ივანიშვილია. ამ ამბის გაგებისას ყველას, რა თქმა უნდა, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გაახსენდა.

სალომე მამის სახელისა და გვარის მედიაში გამოქვეყნებამ ძალიან გააბრაზა. ჩვენთან საუბარში ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა, თუმცა მაინც გვითხრა, რომ ვერ ხვდება, რატომ ერევიან ასე აქტიურად მის პირად ცხოვრებაში.

*reitingi.ge*

## ქეთი მელუა: „აქ ჩამოსვლა სულ მიხარია“



ბრიტანეთში მოღვაწე მეგა ვარსკვლავი და ქართველი მომღერალი ქეთი მელუა აცხადებს, რომ მუშაობს პროექტზე, რომლის ჩამოტანა სამომავლოდ საქართველოში სურს.

– აქ ჩამოსვლა სულ მიხარია. ყოველ წელს ვცდილობ, ვეწვიო სამშობლოს. ნათესავებთან ჩამოვდივარ. ამჯერად სამსახურეობრივი ვიზიტი მაქვს, ანუ მუსიკალურ შოუში დამპატიჟეს და ჩამოვედი. რამდენიმე თვის წინ ვიყავი სამშობლოში და რომ დავაკვირდი, აქ სამუშაო ვიზიტით ჩამოსვლა მომწონს. ამჯერადაც მომინდა, სამშობლოსთვის დრო უნდა გამონახო... საქართველოში კონცერტის გამართვის სურვილი მაქვს, უბრალოდ, ტექნიკურად და ლოგიკურად ეს ძნელია. ახლა ერთ პროექტზე ვმუშაობ და ძალიან მინდა 2015 წელს საქართველოში ჩამოვიტანო. პროექტი კავშირშია საქართველოსთან. იმედი მაქვს, ჩამოვიტან და განვახორციელებ. მაგრამ ჯერ საიდუმლოა. ისეთი პროექტია, მე მგონი, უნდა გაგიხარდეთ, – განუცხადა ქეთი მელუამ „პრაიმტაიმს“.

*pia.ge*

## ნუკა კვალიაშვილი: დედაჩემი ავად არის, ამდენი ლოდინი არ შეიძლება!



ჟურნალ „რეიტინგთან“ ინტერვიუში მომღერალი ნუკა კვალიაშვილი დედის, ეკა კვალიაშვილის ჯანმრთელობაზე საუბრობს. მისი თქმით, ეკას სასწრაფოდ ესაჭიროება კუჭის ოპერაცია, რის შემდეგაც მკურნალობას დაიწყებს.



– ეკას აქვს ერთი ძალიან მაგარი თვისება, არასოდეს გავა გარეთ, თუ ძალიან ცუდადაა და ცუდად გამოიყურება და მეორე, დედაჩემი არასოდეს წუწუნებს და არც არასოდეს არავისთვის არაფერი უთხოვია. არავისთვის მოუხვევია თავზე თავისი ავადმყოფობა, იმ გადაცემებშიც, რომლებიც ეკას დახმარებას მიეძღვნა, ეკას მეგობრებისგან შეიტყო ხალხმა მისი ავადმყოფობის შესახებ. ეკა გამოვიდა სადმე და თქვა, რომ დახმარება სჭირდებოდა?! ყველამ უნდა იცოდეს, რომელი კომპანია რისი გამკეთებელია, რომ ჩვენს ქვეყანაში ქველმოქმედება იზეგრება და ეს გლობალური პრობლემაა, არ არის მარტო ეკას პრობლემა. ეკას ახლა ეს პრობლემა უფრო აშფოთებს, რომ ქველმოქმედება იზეგრება და რომ გაჭირვებული ადამიანების ხარჯზე კონკრეტული კომპანიები მოგებას იღებენ. ეკა ირაკლი ღარიბაშვილთანაც აპირებს შეხვედრას. დედაჩემი ავად არის, ამდენი ლოდინი არ შეიძლება, სასწრაფოდ სჭირდება ეს თანხები. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გაირკვეს, არის ეკა ამ ქვეყნის მოქალაქე თუ – არა. და თუ არა, მიმიფურთხებია ყველაფრისთვის, უარს იტყვის ამ ქვეყნის მოქალაქეობაზე, – აცხადებს ნუკა.

*pia.ge*

## როგორ გათხოვდა გიგა კვენეტაძის ყოფილი მეუღლე ნავთობკომპანიის დირექტორზე



ნინო წიკლაურის თქმით, მისი ქმრის მეგობრებს გაუკვირდათ, რომ მან ქართველი ცოლი მოიყვანა.

– სამი წლის წინათ ჩემი და გიგას გზები გაიყო. ახლა მე მაქვს არაჩვეულებრივი ოჯახი. ჩემი მეუღლე ეროვნებით რუსია. წარმატებული ბიზნესმენია – ალექსანდრე იასკოვი. ამჟამად ის ერთ-ერთი ნავთობკომპანიის დირექტორია. მე და ის ერთი მრევლის წევრი ვიყავით. თავიდან ერთმანეთს დღესასწაულებს ვულოცავდით. ერთ-ერთ დღესასწაულზე ლოცვა გვიან დამთავრდა და ალექსანდრემ ყავის ერთად დალევა შემომთავაზა, იმ დღიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა. მოგვიანებით თქვა, კავკასია ყოველთვის ძალიან მიყვარდა, მაგრამ ჩემი ოცნება იყო, კავკასიელი ცოლი მყოლოდა და ეს ოცნება ამისრულდაო. მის მეგობრებს ძალიან გაუკვირდათ რომ ქართველი ცოლი მოიყვანა, – აცხადებს ნინო წიკლაური „რეიტინგთან“ საუბრისას.



*pia.ge*



## რატომ არ აქვს მაია ყარყარაშვილს ურთიერთობა სოფო საკაშვილის მამასთან

მომღერლის თქმით, მას განქორწინებული მეუღლეების მეგობრობის არ ესმის.

– დაშორებული ცოლ-ქმრის მეგობრობისაც არ მესმის. ყოფილ ქმართან როგორ უნდა იმეგობრო? შეიძლება, იკონტაქტო ბავშვის გამო, მაგრამ მეგობრობა გამორიცხულია. მართალი რომ გითხრათ, მამუკასთან ურთიერთობაც არ დამჭირვებია. სოფი იმდენად ჭკვიანი და დამოუკიდებელია, ისე განვითარდა ტექნიკა, კომუნიკაცია, თავად აგვარებს ამ საკითხებს, – აცხადებს ყარყარაშვილი „რეიტინგთან“ საუბრისას.

*pia.ge*



– უი, რა იყო, წაიქეცი?

– არა, იდიოტო, მუხლი მომეფხანა და ვიფიქრე, ასფალტს გავუხახუნებ-თქო!..

*****

შუა საუკუნეებია. მეფე ომში მიდის და დედოფალს ერთგულების ქამარს უკეთებს. გზაში მეფეს მასხარა ეკითხება:

– რისთვის გაუკეთე ერთგულების ქამარი, ისეთი მახინჯია, მაინც არავინ მიეკარებოდა.

– ვიცი! რომ დავბრუნდები, ვეტყვი, რომ გასაღები დავკარგე...

*****

კოტე გემიდან გადავარდა და ზვიგენმა სასქესო ორგანო მოაჭამა. ფართხალში მან შემთხვევით ოქროს თევზი დაიჭირა. ჰოდა, ასეთი სურვილის შესრულება სთხოვა:

– მინდა, ჩემი სასქესო ორგანო ერთ მეტრიანი იყოს სიგრძეშიც და სიგანეშიც.

– შესრულებულია!..

– უი, ეს რა ამოტივტივდა წყალზე?

– ზვიგენი, ჩემო ბატონო, თქვენმა სასქესო ორგანომ გაგუდა...

*****

რკინიგზის სადგურის გამცილებელი ეკითხება მამაკაცს, რომელიც მატარებელს მისდევს და ხელებს იქნევს:

– უი, ბატონო, მატარებელს ჩამორჩით?

– არა, იდიოტო, ვცდილობ, სადგურიდან განვდევნო!!!

*****

– ალქაჯი ცეცხლზე დაწვი!

– ჰო, მაგრამ ის ხომ ძალიან ლამაზია...

– კარგი, მაგრამ მერე მაინც დაწვი!..

*****

– არადა, შემპირდი, მოგივლი, მეყვარები, ცივ ნიავს არ მოგაკარებო, – ბუზღუნებდა გამწარებული ცოლი და ცხედრის დასამალად ტყეში ორმოს თხრიდა...

*****



– რა გინდა, რატომ ეყრები ცოლს?

– სიგარეტს ეწევა და იმიტომ!

– რა მოხდა მერე, ახლა ყველა ქალი ეწევა სიგარეტს.

– საწოლში ეწევა!

– მოწიოს მერე თუნდაც საწოლში, რა პრობლემაა?

– ყურში მაფერფლებს, კაცო, ყურში!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## მეხიკოს ნარკოტიკების მუზეუმი ექსპონატებს ვეღარ იტევს



ყველა რაღაცას აგროვებს – ზოგი ცნობილი ადამიანების პორტრეტების კოლექციაზე ზრუნავს, სხვები სასაცილო ფოტოებს აგროვებენ, კიდევ ზოგიერთები ფანქრებისა და კალმების შეგროვებაზე გიჟდებიან. აი, მექსიკის არმიის კაპიტანი კლაუდიო მონტანი კი რაც არ უნდა გასაკვირად ჟღერდეს, ნარკოტიკულ ნივთიერებებს აგროვებს. ზუსტად ასეთია მისი სამსახური – კლაუდიო მონტანი მექსიკის თავდაცვის სამინისტროს ნარკოტიკების მუზეუმების კურატორია.

როგორც ირკვევა, ეს უცნაური მუზეუმი დახურულია და მისი დათვალიერება მხოლოდ ოფიციალურ პირებს შეუძლიათ: მთავრობის წევრებს, სამინისტროების მაღალჩინოსნებს, დიპლომატებს სხვადასხვა ქვეყნებიდან და ასევე, სამხედრო სასწავლებლების კურსანტებს. ჰო, ხანდახან თურმე, მუზეუმში ჟურნალისტებსაც უშვებენ.



სწორედ ჟურნალისტებმა შეიტყვეს იმის შესახებ, რომ მუზეუმში უკვე ნარკოტიკების ტევა აღარ არის.

უნდა ითქვას, რომ მექსიკის ნარკოტიკების მუზეუმი ჯერ კიდევ 1985 წელს გაიხსნა, ბოლო 5 წლის მანძილზე კი, პრეზიდენტის ინიციატივით, საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ნარკობრძოლაში ქვეყნის არმია ჩაერთო. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ მუზეუმისთვის უთვალავზე მეტი ექსპონატი გაჩნდა.

რაც მთავარია, მუზეუმში ნივთიერებების გარდა, 'ბარიგებისთვის" ჩამორთმეული ქონებაც იფინება – ჯავშანმანქანები, მინითვითმფრინავები და ასე შემდეგ. იქვეა მეძებარი ნაგაზის ფიტულიც (ფოტოზე), რომელიც 2008 წელს ნარკოტიკებით მოვაჭრეებმა მოკლეს. ძაღლზე მათ შური იმიტომ იძიეს, რომ ნაგაზს, საერთო ჯამში, 3 ტონამდე ნარკოტიკი აღმოუჩენია.

მუზეუმი, რომლის ექსპონატებთან მარტო დარჩენას ნებისმიერი ნარკომანი ინატრებდა, მექსიკის თავდაცვის სამინისტროშია განთავსებული. მისი სხვა, ნაკლებად დაცულ ადგილზე გადატანა არ გამოდის, არადა, ექსპონატები გამოყოფილ ფართზე აღარ ეტევა...

***vrednovosti.com***

## თეთრი ჩაი — საუკეთესო საშუალება სიბერისა და კიბოს წინააღმდეგ



ამ შემთხვევაში, კიბოს პრევენციის საშუალებებზე იამაიკის დედაქალაქის კინგსტონის უნივერსიტეტის მეცნიერები საუბრობენ, რომლებიც ყურადღებას თეთრ ჩაიზე ამახვილებენ და განმარტავენ, რომ ამ სასმელს კიბოს გამომწვევი ფაქტორებისთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია.

გარდა ამისა, თეთრ ჩაიში აღმოჩენილი თვისებები იმის თქმის საშუალებასაც იძლევა, რომ მისი დახმარებით შესაძლებელია ბრძოლა რევმატული ართრიტისა და კანის დაბერების წინააღმდეგ.

როგორც ირკვევა, თეთრი ჩაი ანტიოქსიდანტების მაღალი შემადგენლობით გამოირჩევა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გამოყენება არაერთი დაავადების წინააღმდეგ შეიძლება.

ის, რომ ამ უალკოჰოლო სასმელს კანის დაბერების პროცესის შეფერხებაც შეუძლია, გაახარებთ მამაკაცებს, თუმცა ვფიქრობთ, გაცილებით კმაყოფილები ქალები დარჩებიან – თეთრი ჩაი აფერხებს ფერმენტების მუშაობას, რომლებიც ხელს უწყობენ ელასტინისა და კოლაგენის მწყობრიდან გამოსვლას, ნივთიერებების, რომლებიც კანის რეგენერაციაზე არიან პასუხისმგებელნი.

***medkarta.com***

## წყევლას ადამიანი კატასტროფამდე მიჰყავს



ნებისმიერი ადამიანი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ცრურწმენისკენ სულ მცირედითაც კი არ იხრება, მაინც შეშფოთებითა და შიშით ხვდება იმ ფაქტს, თუკი, მაგალითად, მას ვინმე დაწყევლის.

სამწუხაროდ, ეს შეშფოთება საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ არის, რადგან ადამიანზე წყევლის გავლენა არაერთგზის დადგენილი და დამტკიცებული ფაქტია.

იმ შემთხვევაში, თუკი საგვარეულო წყევლასთან გვაქვს საქმე, ძალიან სამწუხაროა, მაგრამ დაწყევლილის მემკვიდრეობაში აუცილებლად გაჩნდება სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობით, ქრონიკული დაავადებებით, უნაყოფობითა და კიდევ არაერთი უსიამოვნებით შეპყრობილი ადამიანი. როგორც ირკვევა, ერთ-ერთი ყველაზე საშიში და სახიფათო მშობლის წყევლაა და ეს რომ მართლაც ასეა, ერთ მაგალითზეც მოგითხრობთ, რომელიც ნოვოსიბირსკელ მამაკაცს ეხება:

თურმე, მისი პირველი ქორწინება განქორწინებით დასრულდა, იგივე ბედი ეწია მეორესაც, მესამეზე კი მას სრულიად ჯანმრთელი მეუღლე და შვილი გარდაეცვალა. საქმე ისაა, რომ ამ ნოვოსიბირსკელი მამაკაცის დიდი ბაბუა ეჭვიანმა დედამ დაწყევლა, რომელიც რძლის მიღებას ვერაფრით ახერხებდა და ამის გამო, მის ყველა შთამომავალს ოჯახის დანგრევა 'უსურვა". სამწუხაროდ, წყევლა სიტყვასიტყვით ახდა და ძლიერი სქესის ყველა წარმომადგენელი, ვინც კი მის სანათესაოში იბადებოდა, ოჯახის შენარჩუნებას ვერაფრით ახერხებდა. წყევლას ძალა ჯერ კიდევ არ დაუკარგავს და ასე გრძელდება დღემდე.

– ერთნაირი გენების მქონე ადამიანებში ერთი და იგივე ენერგეტიკული ფონია. შესაბამისად, წყევლა ამიტომ ახდენს მათზე გავლენას და როგორ შეიძლება მისგან თავის დახსნა, ძალიან რთული მისახვედრია, – ამბობენ სპეციალისტები.

მოკლედ, ვიდრე რამის თქმასა და ვინმეს დაწყევლას დააპირებდეთ, ჯერ კარგად დაფიქრდით, რადგან ამით შესაძლოა, სრულიად უდანაშაულო ადამიანებიც კი დიდ უბედურებაში გახვიოთ...

***tainamira.ru***

## პროსოპანგნოზია — დაავადება, რომლის გამოც საკუთარ შვილებსაც ვეღარ ცნობენ

არც ისე იშვიათად გექნებათ გაგონილი თქვენი გარშემომყოფებისგან: 'ვერ ვიმახსოვრებ ტელეფონის ნომრებს", 'მიჭირს თარიღების გახსენება", 'ცუდად მამახსოვრდება ადამიანთა სახეები" და ასე შემდეგ.

ასეთი ხუმრობანარევი სიტყვებით ზოგიერთი თავიანთი დაბნეულობის, ან, უბრალოდ, სიზარმაცის გამართლებას ცდილობს, მაგრამ, თურმე, არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებისთვისაც 'ცუდად მამახსოვრდება ადამიანთა სახეები", – ნამდვილ კოშმარად იქცა და არა უწყინარ ხუმრობად.



მაგალითად, 45 წლის ინგლისელი დიასახლისი კლერი აგერ, უკვე თითქმის 2 წელია, რაც ყოველ დილას სულ თავიდან და თავიდან იწყებს – იგი ვერც ქმარს ცნობს, ვერც ვაჟებს, რომლებიც მოთმინებით უხსნიან, ვინ ვინ არის და ვის რა ჰქვია.

ექიმების განმარტებით, კლერს თავის ტვინის უიშვიათესი დაავადება სტანჯავს, რომელსაც სამედიცინო ენაზე პროსოპანგნოზია ეწოდება, ანუ ადამიანების სახეების ვერდამახსოვრება.

– ყოველი ახალი დილა არის ბრძოლა იმისთვის, რომ როგორმე კლერმა წარსული დაიბრუნოს, – ამბობს უსიამოვნო დაავადებით შეპყრობილი ინგლისელის მეუღლე.

მიუხედავად იმისა, რომ მედიცინისთვის კარგად ცნობილია პროსოპანგნოზიის სიმპტომები და მისი თავისებურებები, თანამედროვე მეცნიერება ვერაფრით ხსნის, საიდან და რატომ ჩნდება ეს დაავადება და როგორ შეიძლება პაციენტის მისგან განკურნება?..

***tainamira.ru***

## სინათლე — საუკეთესო პროფილაქტიკა ჭკუასუსტობისა და დეპრესიის წინააღმდეგ



თავადაც შესანიშნავად მოგეხსენებათ, რომ იმდენი სანერვიულო ხვდება ადამიანს დღევანდელ ცხოვრებაში, რთულია თავის ხელში აყვანა და ყველაფრის კონტროლი. შედეგი კი, ძალიან ხშირად, სამწუხაროდ, საშინელი დეპრესიაა.

ჰოდა, იმისთვის, რათა ამ უსიამოვნების თავიდან აცილება შეძლოთ, გადავწყვიტეთ, ჰოლანდიელი მეცნიერების კვლევის შედეგებზე მოგვეთხრო, რომლებიც განმარტავენ, რომ დეპრესიას და ასევე, ჭკუასუსტობის განვითარებას საკმაოდ სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს – სინათლე.

როგორც ირკვევა, ჰოლანდიელი მკვლევრების ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო მოხუცებულთა სახლების, დაახლოებით, 200-მა ბინადარმა, კვლევის შედეგების მიხედვით კი გაირკვა, რომ მკვეთრი სინათლე მნიშვნელოვნად აფერხებს ჭკუასუსტობის პროცესს და დეპრესიას დასაწყისშივე ებრძვის.

– განათებული ოთახი დადებითად მოქმედებს ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, აუმჯობესებს ძილს, რაც, თავის მხრივ, ჭკუასუსტობის განვითარებასა და დეპრესიას ებრძვის, – განმარტავენ ჰოლანდიელი სპეციალისტები.

***medkarta.com***



## ბავშვებისა და მოზარდების ძილის დრო 22:00 საათია

სულაც არ მოითხოვენ ექიმები ტყუილად, რომ ბავშვები და მოზარდები მშობლებმა დასაძინებლად საღამოს 22 საათზე გვიან არ გაისტუმრონ!

როგორც ირკვევა, ძილის გრაფიკის ამგვარად განსაზღვრით, ბავშვებიც და მოზარდებიც ნაკლებად იტანჯებიან ისეთი უაღრესად არასასიამოვნო მოვლენებით, რომელთაც დეპრესია და თქვენ წარმოიდგინეთ, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება ეწოდება.

ასეთი დასკვნა მეცნიერებმა საკმაოდ მასშტაბური კვლევის შედეგად მიიღეს, რომლის ფარგლებშიც 15 ათას 500-მდე უმცროსი ასაკის წარმომადგენლის საერთო მდგომარეობის შესწავლა მოხდა.

მაშ, ასე: კვლევამ დაამტკიცა, რომ ბავშვებსა და მოზარდებში, რომლებიც საღამოს 24 საათისთვის ან კიდევ უფრო გვიან იძინებენ, დეპრესიის ჩამოყალიბების რისკი მთელი 25 პროცენტით იზრდება, ხოლო თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება კი 20 პროცენტით მატულობს!

დაგვეთანხმებით, ორივე მაჩვენებელი საკმაოზე მეტად საგანგაშოა და შესაბამისად, ძილის რეჟიმისთვის გაცილებით მეტი ყურადღების დათმობაა აუცილებელი, რადგან ასეთი კვლევები ჰაერით კი არა, ცოცხალი მაგალითებით საზრდოობს!

***dr20.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. ქვის მაღალი ღობე
2. ტროპიკული ნაყოფი
3. პოეტი შარლ ...
4. ქალაქი გერმანიაში
5. რეჟისორი ... ალმოდოვარი
6. აშშ-ს ფულის ერთეული
7. დიზაინერი ჯორჯო ...
8. მწერალი ასტრიდ ...
9. მონიშვნა არჩევნების დროს
10. ქალაქი დახრილი კოშკით
11. ბუდისტი მღვდელი
12. მდინარე იტალიაში
13. მინდვრის ყვავილი
14. მაკედონელის ცხენი
15. ქალაქი შვეიცარიაში
16. დონ კიხოტის ცხენი
17. მხ/ფ „ქალაქი ...“
18. წყლის ტრანსპორტი
19. ხელით ლამაზად ნაკერი
20. ავსტრალიის ბინადარი ცხოველი
21. კომპოზიტორი იან ...
22. ნიანგის სახეობა
23. ძაღლის ჯიში
24. „... ჯადოსნური ლამპარი“
25. სომხეთის დედაქალაქი
26. მოსევადების ტექნიკა
27. წყალსაცავი აზერბაიჯანში
28. ქალაქი ავსტრალიაში
29. ყელსაბამი
30. ამერიკული თოჯინა
31. ჯემალ ქჯუასელის ანსამბლი
32. ხელოვნური ენა
33. საწვავი აირი
34. სოფელი საგარეჯოს რაიონში
35. „მე ვხედავ მზეს“ პერსონაჟი
36. კურორტი სოჭის რაიონში
37. ზღაპარი „12 ...“
38. კლავიშებიანი ინსტრუმენტი
39. სპექტაკლი ძველი ...
40. რეჟისორი ... სკოტი
40ა. ცეცხლის ენა
41. მევიოლინე ვანესა ...
42. რეჟისორი ჟან-ლიუკ ...
43. რუმინული ფულის ერთეული
44. მსახიობი ... გიბსონი
45. აფრიკის ბინადარი ფრინველი
46. რეჟისორი ... ვან სენტი
47. ჩემოდანი დოკუმენტებისათვის
48. ბრძოლის საშუალებები
49. დაბა თეთრიწყაროს რაიონში
50. მიმდინარეობა მხატვრობაში
51. ყურძნის ჯიში
52. კუთხეში გავლებული ხაზი
53. მწერალი პროსპერ ...
54. ხელის ერთთვლიანი საზიდარი
55. ქართ. მინერალ წყალი
56. სიმებიანი ინსტრუმენტი
57. ხმადაბალი ჟღერადობა
58. კარტოფილის კერძი
59. გარგანტუა და ...
60. ელვის პრესლის ჟანრი
61. მომღერალი ... ლავინი
62. მოგზაურობა გემით
63. მტაცებელი თევზი ამაზონში
64. სისხლის - მწოველი მწერი
65. ლურჯი ნივთიერება თეთრეულისთვის
66. პატარა მტაცებელი ცხოველი
67. რეჟისორი ... კუსტურიცა
68. პროვინცია ესპანეთში
69. ძაღლის ჯიში
70. დახლართული გასასვლელი
71. რბილი ლითონი
72. ტბა პერუში
73. სვირინგი
74. მთათა სისტემა ამერიკაში
75. იაპონური თაიგული
76. ... ულენშპიგელი
77. ჟელატინიანი ტკბილეული
78. რომენ როლანი. „... ბრუნიონი“
79. ლაშქარი
80. მომღერალი ... კუტუნიო
81. მიწის ფართობის ერთეული
82. ყაიმი
83. ებრაული სალოცავი ტაძარი
84. ჯამის ფორმის სასმისი
85. ერთგვარი ნაყინი
86. მსახიობი ... ჰარლი
87. ... ცეტკინი
88. მსახიობი ... მური
89. მსახიობი ვიქტორ ...
90. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
91. ფირმა „...-პარი“
92. დინამიტის გამომგონებელი
93. გაზაფხულის თვე
94. შინაური ფრინველი
95. მსახიობი ... რივზი
96. ციური სხეული
97. 90გრადუსიანი კუთხე
98. პერუს დედაქალაქი
99. სამატომიანი ჟანგბადი
100. დადუღებული ყურძნის წვენი
101. რომის იმპერატორი
102. მიქელანჯელოს ქმნილება
103. გარმონის ტიპის ინსტრუმენტი
104. ექვსფრთიანი ანგელოზი
105. დიდი ტიკი
106. თმის გასაშრობი ხელსაწყო
107. ... ბრედბერი
108. მსახიობი ... ტაილერი
109. მხ/ფ „... და მისი ძმები“
110. დეკორატიული მცენარე
111. მისი დედაქალაქია რომი
112. მდინარე კახეთში
113. მდინარე გერმანიაში
114. ანტილოპას სახეობა
115. ფრინველის სადგომი
116. მხ/ფ „ჩარლის ...“
117. ბულგარული ფულის ერთეული
118. ქალაქი სამეგრელოში
119. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
120. დიეგო არმანდო ...
121. შტატი აშშ-ში
122. მარადმწვანე ბუჩქი
123. მარცვლოვანი მცენარე
124. ნიშნავს ჩირქოვანს
125. მოგრძო, რბილსხეულიანი ცხოველი
126. დისნეის შვილის ნუკრი
127. მხ/ფ „... ტრეისი“
128. „მაუგლი“ პითონი
129. სერიალი „... ქალაქში“
130. დაბადებითი ნაჭდევი მუცელზე
131. მომღერალი ... მატიე
132. მსახიობი ჩარლი ...
133. ... ბერიკაშვილი
134. ტყის ფრინველი
135. მდინარე ინდოეთში
136. ტაბლეტი
137. წყლის საღებავი
138. მატყუარა
139. ციხესიმაგრე. იქვე აბატი ფარია
140. უძველესი კოლხეთი
141. ხის ჯიში
142. ნიავი

პასუხები: 1. გალავანი; 2. ანანასი; 3. ბოდლერი; 4. ბონი; 5. პედრო; 6. დოლარი; 7. არმანი; 8. ლინდგრენი; 9. მარკირება; 10. პიზა; 11. ლამა; 12. პო; 13. ზიზილა; 14. ბუცეფალი; 15. ბაზელი; 16. როსინანტი; 17. ანარა; 18. გემი; 19. გვირისტი; 20. იხვნისკარტა; 21. სიბელიუსი; 22. ალიგატორი; 23. რონვეილერი; 24. ალადინის; 25. ერევანი; 26. ნიელო; 27. მინგეჩაური; 28. მელბურნი; 29. კოლიე; 30. ბარბი; 31. „ერისიონი“; 32. იდო; 33. მეთანი; 34. მანავი; 35. ხატია; 36. ადლერი; 37. თვე; 38. პიანინო; 39. ვოდევილები; 40. რიდლი; 40ა. ალი; 41. მეი; 42. გოდარი; 43. ლეი; 45. მელ; 45. მარაბუ; 46. გას; 47. კეისი; 48. იარაღი; 49. მანგლისი; 50. იმპრესიონიზმი; 51. ოჯალეში; 52. ბისექტრისა; 53. მერიმე; 54. ურიკა; 55. ბორჯომი; 56. არფა; 57. პიანო; 58. პიურე; 59. პანტაგრუელი; 60. როკ-ენ-როლი; 61. ავრილ; 62. კრუიზი; 63. პირანია; 64. კოღო; 65. ლილა; 66. ტურა; 67. ემირ; 68. მალაგა; 69. სეტერი; 70. ლაბირინთი; 71. კალა; 72. ტიტიკაკა; 73. ტატუ; 74. კორდილიერები; 75. იკებანა; 76. ტილ; 77. მარმელადი; 78. კოლა; 79. სპა; 80. ტოტო; 81. აკრი; 82. ფრე; 83. სინაგოგა; 84. ფიალა; 85. პლომბირი; 86. ლიზ; 87. კლარა; 88. დემი; 89. ლანუ; 90. სალიერი; 91. ისი; 92. ნობელი; 93. აპრილი; 94. ინდაური; 95. კიანუ; 96. მეტეორი; 97. მართი; 98. ლიმა; 99. ოზონი; 100. ბადაგი; 101. კალიგულა; 102. „პიეტა“; 103. აკორდეონი; 104. სერაფიმი; 105. რუმბი; 106. ფენი; 107. რეი; 108. ლივ; 109. როკო; 110. ბეგონია; 111. იტალია; 112. ალაზანი; 113. რაინი; 114. გნუ; 115. ბუდე; 116. დეიდა; 117. ლევი; 118. აბაშა; 119. ომეგა; 120. მარადონა; 121. აიოვა; 122. ტუია; 123. სიმინდი; 124. პიო; 125. ჭია; 126. ბემბი; 127. დიკ; 128. კაა; 129. შუა; 130. ჭიპი; 131. მირეი; 132. შინი; 133. გივი; 134. კოდალა; 135. ინდი; 136. აბი; 137. გუაში; 138. ცრუ; 139. იფი; 140. აია; 141. აკაცია; 142. სიო. იკითხება: ვენეცია.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ინდოეთში 20 მილიარდ დოლარად შეფასებული განძი აღმოაჩინეს



უპრეცედენტოდ უზარმაზარი ღირებულების მქონე განძი ინდოეთის კერალის შტატის ერთ-ერთ მონასტერში აღმოაჩინეს, რომელიც წინასწარი შეფასებით, დაახლოებით 1 ტრილიონი რუპიას (20 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი) ოდენობისაა.

ცნობილია, რომ მე-16 საუკუნეში აგებული მონასტრის სარდაფში დაახლოებით 1 ტონა ოქროს მონეტები, კიდევ 1 ტონა ოქროს ზოდები, ტომრებით ბრილიანტები და სხვადასხვა ძვირფასი ქვა ინახებოდა. გარდა ამისა, ნაპოვნია ვიშნას ღვთაების 1,2 მეტრის სიმაღლის მქონე ოქროს ქანდაკება.

ექსპერტების დიდი ნაწილი იმასაც კი ამბობს, რომ განძი საერთოდ შეუფასებელია და 20 მილიარდი დოლარი მხოლოდ „ხურდაა".

– ყველაფერი, რაც მონასტერში იქნა აღმოჩენილი, უძველესი ხელოვნების ნიმუშია და ამდენად, მათი შეფასება შეუძლებელია, – მიიჩნევენ ისტორიკოსები.

უპრეცედენტო და სენსაციური აღმოჩენის შემდეგ მონასტრისთვის 24-საათიანი დაცვა გამოიყო და დროებით იგი მორწმუნეებისთვის დაიკეტა.

შტატის ხელისუფლებას სურს, რომ მთელი განძი მონასტერში დატოვოს, თუმცა როგორ განვითარდება მოვლენები, ჯერჯერობით უცნობია.

*glamur.us*



## კომპანია „ზაფირომ" მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სამართებელი გამოუშვა

და იცით, რა ღირს ერთი შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივი „ბრიტვა"? არც მეტი, არც ნაკლები... 100 ათასი აშშ დოლარი!

რა თქმა უნდა, „ჯილეტი" ლიდერია სამართებლების გაყიდვების თვალსაზრისით, მაგრამ იტალიური „ზაფიროს" მსგავს ფასებზე ის ვერც იოცნებებს. ყოველ შემთხვევაში, ამ დრომდე ასეთი ღირებულების ცნობილ მწარმოებელს არაფერი შეუქმნია.

როგორც ირკვევა, სამართებლების დამზადებისას „ზაფირო" რაკეტების ტექნოლოგიებს, ნანოტექნოლოგიებსა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის გამოცდილებას იყენებს.

რაც შეეხება კომპანიის სენსაციურ სიახლეს, სახელწოდებით „ზაფირო ირიდიუმს", იგი სულ 99 ეგზემპლარად დამზადდა. თითოეულ მათგანზე დატანილი იქნება სერიული ნომერი და მფლობელის მონოგრამა. ფასი კი, როგორც უკვე გითხარით, 100 ათასი აშშ დოლარი იქნება.

სამართებლის პირებისთვის თეთრი საფირონია გამოყენებული, რომელთა სისქე, სულ რაღაც, 80 ატომია და ნებისმიერი ტიპის პირზე უფრო მჭრელია.

რაც მთავარია, სამართებლის დამზადებისას გამოყენებულია ირიდიუმი, რომელიც ოქროსა და პლატინაზე ბევრად რთული და იშვიათი მოსაპოვებელია. ფასიც სწორედ ირიდიუმის გამოა ასეთი მაღალი.

აბა, გადაიხდიდით 100 ათას აშშ დოლარს ერთ სამართებელში?..

*smexoblog.ru*

## ლატვიელმა პოლიციაში იჩივლა: შეყვარებული სადილს არ მაჭმევსო



ეჰ, ფაქტია, ქალებს მართლა აქვთ სათქმელად, რომ კაცის გულამდე გზა კუჭის გავლით გადის. აბა, შეიძლება, ზრდასრულმა ადამიანმა, მამაკაცმა, პოლიციას იმის გამო მიმართო, შეყვარებული საჭმელს არ მაჭმევსო?!

როგორც ჩანს, შეიძლება და სწორედ ასეთი ფაქტი დაფიქსირდა ლატვიის ქალაქ ელგავაში: იქაურ პოლიციას აღშფოთებული ახალგაზრდა მამაკაცი დაუკავშირდა და სასწრაფოდ მისვლა სთხოვა. როცა სამართალდამცველები მითითებულ მისამართზე მივიდნენ, საკმაოდ კურიოზულ შემთხვევას გადააწყდნენ: მამაკაცი ჩიოდა, რომ მისმა რჩეულმა სადილის გაკეთების ნაცვლად ხანგრძლივი ძილი გამოაცხო.

პოლიციელებმა ახალგაზრდებს თავ-პირი არ დაულეწეს და ზრდილობიანად აუხსნეს, რომ ასეთი სისულელისთვის მათ არ უნდა დაურეკონ.

საბოლოო ჯამში, შეყვარებულები შერიგდნენ და უაზრო კონფლიქტი ამით ამოიწურა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*etotupo.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**25 ივნისი:** დღეს ძალიან სწრაფად მოგიწევთ აზროვნება. შეეცადეთ, დროდადრო შეისვენოთ, თორემ გადაიწვებით.

**კურო 22.04-21.05**

**25 ივნისი:** დღის ბოლოსთვის ზოგიერთი რამ შეიძლება სხვაგვარად მოგეჩვენოთ. სიახლის აღქმისთვის მოემზადეთ და მადლობა უთხარით იმას, ვინც ამ სიახლეებზე თვალს აგიხელთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**25 ივნისი:** დღეს თქვენთვის ჩვეული და მისაღები აუჩქარებელი ტემპის შენარჩუნება გაგიჭირდებათ. ვითარება შეუჩერებელ მუშაობას გაიძულებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**25 ივნისი:** საკმაოდ აქტიური იქნებით, როგორც პრობლემების მოგვარებაში, ისე კონფლიქტების შექმნაში. თუ მთლიანად პრობლემებზე კონცენტრირებას ვერ ახერხებთ, მათსა და კონფლიქტებს შორის ბალანსი მაინც შეინარჩუნეთ.

**ლომი 23.07-22.08**

**25 ივნისი:** თქვენს აზროვნებაში იდეის გაჩენიდან მისი რეალიზაციის დასრულებამდე შეიძლება ნახევარი დღეც არ გავიდეს.

**ქალწული 23.08-22.09**

**25 ივნისი:** მოქმედებების დრო დადგა, განმარტებები შემდგომისთვის გადადეთ, ამის გამო ნერვიულობა არ ღირს. ვისაც უყვარხართ, გაგიგებენ.

**სასწორი 23.09-22.10**

**25 ივნისი:** შეეცადეთ, ისე მოიქცეთ, რომ არავინ გისაყვედუროთ. გარშემომყოფნი ნეგატიურად იქნებიან თქვენ მიმართ განწყობილი და შეეცდებიან, რაც შეიძლება მეტი რამ დაგაბრალონ.

**მორიელი 23.10-21.11**

**25 ივნისი:** თავის შეკავება გაგიჭირდებათ, რომ არ აფეთქდეთ და ამის მიზეზი იქნება არა აგრესია, არამედ მხიარულების სურვილი. მოდუნდით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**25 ივნისი:** თუ დღეს ინფორმაციის ნაკლებობას განიცდით, გამოუყენეთ თქვენი უნარი და სავარაუდო ვარიანტებზე იფიქრეთ. გარკვეული წინდახედულება არ გაწყენდათ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**25 ივნისი:** დღეს ერთ ადგილას ჯდომა გაგიჭირდებათ და თუ სადმე გასამგზავრებლად მიზეზი არ გამოგიჩნდებათ, მთელ დღეს ფაციფუცში გაატარებთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**25 ივნისი:** ბევრი საშუალება მოგეცემათ, მაგრამ რატომღაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გაწელვა მოგინდებათ. იჩქარეთ, თორემ რაღაცის დათმობა მოგიწევთ.

**თევზები 19.02-20.03**

**25 ივნისი:** დღეს ბევრი ადამიანი აღივსება თქვენ მიმართ შურით და ამას ვერაფერს მოუხერხებთ, რადგან შუარიანობის მიზეზს ვერ გაარკვევთ. უბრალოდ, მხედველობაში იქონიეთ.

## დოღში გამარჯვებისთვის პასტორმა ცხენი მონათლა



საკმაოზე მეტად უჩვეულო ნათლობის მომსწრეები გახდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მკვიდრები ქალაქ პორტ-ელისაბედიდან.

საქმე ისაა, რომ უცნაური გატაცებების მქონე ერთმა ადგილობრივმა პასტორმა დერიკ დერბიშირმა ცხენი იმის გამო მონათლა, რომ ამტკიცებდა, ამ გზით იგი დოღში გამოსვლისას უეჭველ გამარჯვებას მოიპოვებსო.

პასტორი განმარტავს, რომ მას დოღში მოგება ჰაერივით სჭირდებოდა, რათა მთელი თანხა ტაძრის შეკეთებაზე დაეხარჯა, თუმცა რამდენად მისაღებია ასეთი გზით ნაშოვნი ფული სასულიერო პირისთვის, ამის შესახებ ის უკვე აღარაფერს ამბობს.

– აღვავლინე შესაბამისი ლოცვები და ცხენი ყველა წესის დაცვით მოვნათლე. ღმერთის ძალით ახლა ის აუცილებლად გახდება ჩემპიონი, – ამბობს დერიკ დერბიშირი.

სხვათა შორის, ნათლობის შემდეგ ცხენმა შესაფერისი სახელიც მიიღო – ამიერიდან იგი დოღში როგორც „მორბენალი პასტორი", ისე მიიღებს მონაწილეობას.

ცხადია, პასტორის ასეთ ნაბიჯს სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვა და მას საკუთარი მრევლიც კი გაუნაწყენდა, თუმცა იგი სიმშვიდეს მაინც ინარჩუნებს და ამბობს, რომ მომხდარი არავის ეხება და „ეს მხოლოდ მისი და ღმერთის საქმეა".

*etotupo.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



სტუდენტი გამოცდას აბარებს, ლექტორს კი აშკარად მისი ჩაჭრა სურს...

– კარგი, – ეუბნება ლექტორი, – მითხარი, რამდენი ნათურაა ამ აუდიტორიაში და ჩაბარებული გექნება...

სტუდენტმა ნათურები უცბად დაითვალა:

– 9 ცალია, პატივცემულო.

– ცდები! 10 ცალია, – პასუხობს ლექტორი და ჯიბიდან ნათურას იღებს. მომდევნო კვირაში შევხვდებით...

გადაბარებაზე კვლავ იგივე სიტუაციაა:

– თუ მეტყვი, რამდენი ნათურაა აუდიტორიაში, ჩაბარებული გექნება.

– 10 ცალია, პატივცემულო.

– ცდები! დღეს ნათურა აღარ წამომიღია.

სტუდენტმა ჯიბიდან ნათურა ამოიღო:

– სამაგიეროდ, მე წამოვიღე, პატივცემულო!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"**

ალია
211359457
ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: **თამაზ ბესტავაშვილი**
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაქვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ზანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალმასიანის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.55